

სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემია
პოლიტიკური მენეჯმენტის საერთაშორისო აკადემია
იურიდიულ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემია

INTERNATIONAL ACADEMY OF SOCIAL-ECONOMIC SCIENCES
INTERNATIONAL ACADEMY OF POLITICAL MANAGEMENT
INTERNATIONAL ACADEMY OF JURIDICAL SCIENCES

МЕЖДУНАРОДНАЯ АКАДЕМИЯ СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКИХ НАУК
МЕЖДУНАРОДНАЯ АКАДЕМИЯ ПОЛИТИЧЕСКОГО МЕНЕДЖМЕНТА
МЕЖДУНАРОДНАЯ АКАДЕМИЯ ЮРИДИЧЕСКИХ НАУК

სახელმწიფო მართვის აქტუალური პრობლემები

*საერთაშორისო სამეცნიერო
კონფერენციის მასალები*

ACTUAL PROBLEMS OF STATE MANAGEMENT

*MATERIALS OF INTERNATIONAL
SCIENTIFIC CONFERENCE*

АКТУАЛЬНЫЕ ПРОБЛЕМЫ ГОСУДАРСТВЕННОГО УПРАВЛЕНИЯ

*МАТЕРИАЛЫ МЕЖДУНАРОДНОЙ
НАУЧНОЙ КОНФЕРЕНЦИИ*

(27.05.2016)

თბილისი
Tbilisi Тбилиси
2016

უპკ (UDC; УДК) 1+32+33+34+35
ს-352 А-19 А-437

სახელმწიფო მართვის აქტუალური პრობლემები.
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები (27.05.2016).
თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2016. – 124 გვ.

ACTUAL PROBLEMS OF STATE MANAGEMENT.
MATERIALS OF INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE (27.05.2016).
Tbilisi: International Publishing House “Progress”, 2016. – 124 p.

АКТУАЛЬНЫЕ ПРОБЛЕМЫ ГОСУДАРСТВЕННОГО УПРАВЛЕНИЯ.
МАТЕРИАЛЫ МЕЖДУНАРОДНОЙ НАУЧНОЙ КОНФЕРЕНЦИИ (27.05.2016).
Тбилиси: Международное издательство “Прогресс”, 2016. – 124 с.

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი:
ალფრედ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო) – თავმჯდომარე
ირაკლი გაბისონია (თბილისი, საქართველო) – წევრი
ანზორ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო) – წევრი
ედუარდ კორიტსკი (ჰამბურგი, გერმანია) – წევრი
სლავომირ პარტიცკი (ლუბლინი, პოლონეთი) – წევრი

ORGANIZATION COMMITTEE OF THE CONFERENCE:
ALFRED KURATASHVILI (TBILISI, GEORGIA) – CHAIRMAN
IRAKLI GABISONIA (TBILISI, GEORGIA) – MEMBER
ANZOR KURATASHVILI (TBILISI, GEORGIA) – MEMBER
EDUARD KORITSKY (HAMBURG, GERMANY) – MEMBER
SLAWOMIR PARTYCKI (LUBLIN, POLAND) – MEMBER

ОРГАНИЗАЦИОННЫЙ КОМИТЕТ КОНФЕРЕНЦИИ:
АЛЬФРЕД КУРАТАШВИЛИ (ТБИЛИСИ, ГРУЗИЯ) – ПРЕДСЕДАТЕЛЬ КОМИТЕТА
ИРАКЛИЙ ГАБИСОНИЯ (ТБИЛИСИ, ГРУЗИЯ) – ЧЛЕН КОМИТЕТА
АНЗОР КУРАТАШВИЛИ (ТБИЛИСИ, ГРУЗИЯ) – ЧЛЕН КОМИТЕТА
ЭДУАРД КОРИЦКИЙ (ГАМБУРГ, ГЕРМАНИЯ) – ЧЛЕН КОМИТЕТА
СЛАВОМИР ПАРТЫЦКИЙ (ЛЮБЛИН, ПОЛЬША) – ЧЛЕН КОМИТЕТА

სამეცნიერო რედაქტორი – ალფრედ კურატაშვილი
SCIENTIFIC EDITER – ALFRED KURATASHVILI
НАУЧНЫЙ РЕДАКТОР – АЛЬФРЕД КУРАТАШВИЛИ

რეცენზენტები:
მიხეილ როკეტლიშვილი (ნიუ-იორკი, აშშ) – მეცნ. დოქტორი, პროფ., აკადემიკოსი
ოქსანა სოლდატენკო (კიევი, უკრაინა) – მეცნ. დოქტორი, პროფ., აკადემიკოსი

REVIEWERS:
MIKHAIL ROKETLISHVILI (NEW YORK, USA) – DOCTOR OF SC., PROFESSOR, ACADEMICIAN
OKSANA SOLDATENKO (KIEV, UKRAINE) – DOKTOR OF SC., PROF., ACADEMICIAN

РЕЦЕНЗЕНТЫ:
МИХАИЛ РОКЕТЛИШВИЛИ (НЬЮ-ЙОРК, США) – ДОКТОР НАУК, ПРОФЕССОР, АКАДЕМИК
ОКСАНА СОЛДАТЕНКО (КИЕВ, УКРАИНА) – ДОКТОР НАУК, ПРОФЕССОР, АКАДЕМИК

© ალფრედ ანზორის ძე კურატაშვილი, 2016
ALFRED A. KURATASHVILI, 2016
АЛЬФРЕД АНЗОРОВИЧ КУРАТАШВИЛИ, 2016

ISBN 978-9941-9337-9-0

შპპ 1+32+33+34+35

ალფრედ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო)

ეკონომიკურ, ფილოსოფიურ და იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი საზოგადოებრივ მეცნიერებებში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი საჯარო სამართალში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ეკონომიკური თეორიის განყოფილების გამგე, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ “პროგრესი“-ს და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ “იურისპრუდენციის პრობლემები“-ს დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი, სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, პოლიტიკური მენეჯმენტის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი და იურიდიულ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აშშ პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სანკტ-პეტერბურგის კულტურის ისტორიის საზოგადოებრივი აკადემიის ნამდვილი წევრი, ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი

**სახელმწიფოს
პოლიტიკური ორიენტაციის
პრობლემისადმი მცდარი მიდგომა,
ადამიანის უფლებებისა და ინტერესების
“დაკანონებული” გათვლვის
ფაქტების იგნორირება
და ხალხის ინტერესებისათვის
ამ პრობლემების გადაჭრის
ინოვაციური მიმართულება
რისკენ და ვისკენ უნდა იყოს მიმართული
ჭეშმარიტად ადამიანური
საზოგადოებისა და სახელმწიფოს
პოლიტიკური ორიენტაცია?!**

ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და ჭეშმარიტად ადამიანური სახელმწიფოს პოლიტიკური ორიენტაცია, *ანუ იმ საზოგადოებისა და სახელმწიფოს პოლიტიკური ორიენტაცია, რომელიც ხალხის ინტერესებს ემსახურება*, მიმართული უნდა იყოს ყოველი ადამიანის კანონიერი და სამართლიანი უფლებების დაცვისაკენ და ხალხის ინტერესების რეალიზაციისაკენ.

მაშასადამე, ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოება და ჭეშმარიტად ადამიანური სახელმწიფო უნდა ემსახურობდეს არა ბაზარს, არა ფულს, არა მოგებას, არა კაპიტალს – *როგორც თვითმიზანს*, ანუ უნდა ემსახურობდეს არა ეკონომიკურ ფაშიზმს – *არა ბაზრის, ფულის, მოგების, კაპიტალის ბატონობას ადამიანზე*, რაც დამახასიათებელია ჭეშმარიტი კაპიტალიზმის შინაგანი ბუნებისათვის, არამედ რეალურად (და არა ცარიელი – ცრუ –

ლოზუნგებით, რასაც არცთუ იშვიათად ადგილი ჰქონდა საბჭოთა ფსევდოსოციალიზმის პირობებში) უნდა ემსახურობდეს ყოველი ადამიანის კანონიერი უფლებების დაცვას და ხალხის ინტერესების რეალიზაციას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენელია, ყოვლად დაუშვებელია, ანტისოციალურია, ანტიჰუმანურია და ამიტომ შეუძლებელია, რომ სახელმწიფო ხალხს (ყოველი ადამიანის ინტერესებს) ემსახურობდეს კანონსაწინააღმდეგოდ “დაკანონებული” დანაშაულებრივი “კანონების” – *ფაქტობრივად კი უკანონობის* – ვითომდა “სამართლებრივ” “საფუძველზე”.

ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვები:

რა არის, თუ არა ეკონომიკური ფაშიზმი, როდესაც ბაზარი, ფული, მოგება, კაპიტალი ბატონობს ადამიანებზე – ხალხზე?!

რა არის თუ არა ეკონომიკური ფაშიზმი, როდესაც სახელმწიფოს მიერ კანონსაწინააღმდეგოდ “დაკანონებული” დანაშაულებრივი “კანონების” საშუალებით იძარცვებიან და ნადგურდებიან ადამიანები?!

რა არის, თუ არა ეკონომიკური ფაშიზმი – რა არის, თუ არა ბაზრის, ფულის, მოგების, კაპიტალის ბატონობა ადამიანებზე, როდესაც სახელმწიფოში დაშვებული და კანონსაწინააღმდეგოდ – *დანაშაულებრივად* – “დაკანონებულია” აზარტული თამაშების არსებობა, რომლებიც ალატაკებს და ანადგურებს ადამიანებს?! [1, გვ. 3-18; 2, გვ. 37-45; 3, გვ. 33-46; 4, გვ. 29-34].

რა არის, თუ არა ეკონომიკური ფაშიზმი – რა არის, თუ არა ბაზრის, ფულის, მოგების, კაპიტალის ბატონობა ადამიანებზე, როდესაც კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ფირმებისა და სხვა საფინანსო ორგანიზაციების მიერ მიმდინარეობს თაღლითური ხერხებით (*თანაც უწყვეტად – ტელევიზიით, ინტერნეტით, მობილური ტელეფონით და ა.შ.*) ადამიანებზე “ნადირობა”, როდესაც ამ ორგანიზაციების მიერ შენიღბული ფორმით – *“უპროცენტო” სესხების ადამიანებისათვის “თავზე მოხვევით”* – მიმდინარეობს ხალხის ძარცვა და გალატაკება, და როდესაც შემდეგ *ისევ ამ ორგანიზაციების მიერ* ხდება თავიანთი საკუთარი თაღლითური ქმედებების – *დანაშაულებრივად შეცდენილ (თაღლითობის მსხვერპლ) კლიენტებზე უსინდისოდ გადაბრალება*?!

ნუთუ შეიძლება, რომ აღნიშნული საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციების ზემოთ ხსენებული კრიმინალური ქმედებები არ იყოს აღკვეთილი და, *პირიქით*, ფაქტობრივად მხარდაჭერილი და კანონსაწინააღმდეგოდ – *დანაშაულებრივად* – “დაკანონებული” იყოს სახელმწიფოს მიერ?! [5, გვ. 25-28].

ნუთუ ეს არის “ცივილიზებული” “საბაზრო ეკონომიკა”?!

ნუთუ ეს არის სრულიად უაზრო ეგრეთ წოდებული ვითომდა “დემოკრატია”, რომელიც აშკარად განუხორციელებადია, რამეთუ შეუძლებელია, რომ ხალხი იყოს ხელისუფალი – შეუძლებელია, რომ ხალხი ფლობდეს უზენაეს სახელმწიფო ხელისუფლებას (?!).

ნუთუ ეს არის ვითომდა ადამიანის “უფლებების დაცვა” და ნანატრი “თავისუფლება”?!

ნუთუ ეს არის თანამედროვე ლიბერალიზმი?!

ნუთუ საზოგადოებაში და სახელმწიფოში “აღვირახსნილი” ლიბერალიზმის ბატონობა – ეს არ არის “იდიოტიზმი” და ხალხისადმი მტრული დამოკიდებულება?!

ნუთუ სახელმწიფოში “აღვირახსნილი” ლიბერალიზმის ბატონობა – ეს არ არის სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან ხალხის ძარცვის, მისი გაუბედურების მხარდაჭერა?!

ნუთუ ცალკეული ადამიანების გამდიდრებას და თუნდაც სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებას უნდა ეწირებოდნენ ადამიანები?!

ნუთუ საზოგადოებაში და სახელმწიფოში ბაზრის, ფულის, მოგების, კაპიტალის ბატონობა ადამიანებზე, *ამავე დროს*, საფრთხეს არ უქმნის სახელმწიფო უსაფრთხოებას?!

ნუთუ სახელმწიფოს მიერ კანონსაწინააღმდეგოდ “დაკანონებული” დანაშაულებრივი “კანონების” საშუალებით ადამიანების ძარცვა და განადგურება ასევე საფრთხეს არ უქმნის სახელმწიფო უსაფრთხოებას?!

ნუთუ კანონიერად და სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ კრიმინალი მოსამართლეების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა კანონსაწინააღმდეგოდ “დაკანონებული” ვითომდა “სამართლებრივი” “ნორმებით” – საქართველოს კონსტიტუციით [6, მუხლი 84, პუნქტი 3; მუხლი 87, პუნქტი პირველი] (*ასევე სხვა სახელმწიფოთა კონსტიტუციებით*) და, შესაბამისად, აგრეთვე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით [7, მუხლი 7, პუნქტი პირველი; მუხლი 40, პუნქტი პირველი] – აკრძალულია, და რომ მოსამართლეებს “არ ეხებათ” – *მოსამართლეებზე რომ “არ ვრცელდება”* – კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი?! [8, გვ. 3-12; იხილეთ აგრეთვე, აქვე: გვ. 11-22, 23-28, 29-36, 37-44, 45-52, 53-58, 59-62; და სხვა].

ნუთუ შეიძლება, რომ სახელმწიფოში ევროპულ ორიენტაციაზე – *როგორც პროგრესულ პოლიტიკურ მიმართულებაზე* – მსჯელობდნენ, ევროკავშირისკენ მიისწრაფოდნენ, და რომ, *ამავე დროს*, სახელმწიფო ხელისუფლება “ვერ ამჩნევდეს”, ანდა არაფრად არ აგდებდეს იმას, რომ ქვეყნის შიგნით ადგილი აქვს ბაზრის, ფულის, მოგების, კაპიტალის ბატონობას ადამიანებზე, რომ სახელმწიფოს მიერ კანონსაწინააღმდეგოდ “დაკანონებული” დანაშაულებრივი “კანონების” საშუალებით იძარცვებიან და ნადგურდებიან ადამიანები, რომ ადგილი აქვს ადამიანების უთანასწორობას კანონის წინაშე ისევე კანონსაწინააღმდეგოდ “დაკანონებული” დანაშაულებრივი “კანონების” “საფუძველზე” (!).

სახელმწიფო ხელისუფლებამ, *თუ ის მართლა ხალხისთვის არსებობს, ანუ თუ ის მართლა არის ჭეშმარიტად ადამიანური სახელმწიფოს ხელისუფლება*, უნდა გაითვალისწინოს, რომ ევროპული ორიენტაცია, *მიუხედავად მისი უდავო მნიშვნელობისა*, ვერ გადაფარავს სახელმწიფოში ადამიანების – ხალხის – უფლებებისა და ინტერესების შელახვისა და გათელვის არსებულ

მრავალრიცხოვან ფაქტებს, ვერ გადაფარავს კანონსაწინააღმდეგოდ “დაკანონებული” დანაშაულებრივი “კანონების” “საფუძველზე” ადამიანების ძარცვას, გალათაკებას და განადგურებას, ვერ გადაფარავს ადამიანების კანონსაწინააღმდეგოდ “დაკანონებულ” უთანასწორობას კანონის წინაშე.

აქ უდავოდ და ბუნებრივად იბადება კითხვა:

ვის აინტერესებს და ვის უნდა ასეთი სახელმწიფო ევროკავშირში?!

* * *

ამრიგად, სახელმწიფოს პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემისადმი მცდარი მიდგომას წარმოადგენს, როდესაც პოლიტიკური ორიენტაციის სტრატეგიულ მიმართულებად – *ფაქტობრივად სახელმწიფოს თვითმიზნად* – განსაზღვრულია არა ყოველი ადამიანის კანონიერი და სამართლიანი უფლებების დაცვა და ხალხის ინტერესების რეალიზაცია – როგორც სახელმწიფოს უზენაესი მიზანი, არამედ, *მაგალითად*, ევროპული ორიენტაცია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს ევროპული ორიენტაცია უდავოდ პროგრესულ პოლიტიკურ ორიენტაციას წარმოადგენს, *რაც მხოლოდ მისასაღმებელია*, მაგრამ აქ მსჯელობაა იმაზე, რომ სახელმწიფოს განსაზღვრულ სტრატეგიულ მიმართულებას უნდა წარმოადგენდეს ყოველი ადამიანის კანონიერი და სამართლიანი უფლებების დაცვა და ხალხის ინტერესების რეალიზაცია, *რაც სახელმწიფოს უზენაეს მიზანს უნდა წარმოადგენდეს*, თუ ეს სახელმწიფო მართლა ხალხისთვის არსებობს, ხოლო ევროპული ორიენტაცია შეიძლება განიხილებოდეს – *და უნდა განიხილებოდეს* – მხოლოდ როგორც ამ მიზნის რეალიზაციის აუცილებელი საშუალება.

ამასთანავე, თუმცა გამართლებული იქნება და არის სახელმწიფოს ევროპულ ორიენტაციაზე – *როგორც ხალხის ინტერესების რეალიზაციის აუცილებელ საშუალებაზე* – მსჯელობა, მაგრამ ამ ორიენტაციის პრაქტიკული განხორციელება საქართველოში უნდა მოხდეს მხოლოდ ქართული ეროვნული ტრადიციების დაცვის აუცილებლობის გათვალისწინებით, *და არა ევროპისადმი (და ასევე არა საერთოდ ნებისმიერი სახელმწიფოსადმი ან სახელმწიფოთა გაერთიანებისადმი) “ბრმა” მიბაძვით*, რამეთუ როგორც დიდი ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, პროგრესული მოძღვრების გავლენამ მხოლოდ იმას შეიძლება მოუტანოს სარგებლობა, “ვინც ყოველი დასკვნა გაატარა თავისი კრიტიკის ქარცეცხლში და არ მიიღო და არ ირწმუნა ის ბრმად” [9, გვ. 39-40].

ამავე დროს, სახელმწიფო ხელისუფლებამ, *ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე*, უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

სრულიად დაუშვებელია, რომ სახელმწიფო ხელისუფლება “გატაკებული” იყოს მხოლოდ ევროპული ორიენტაციით, და რომ სახელმწიფოს ევროპულ ორიენტაციასთან ერთად – *და მის პარალელურად* – სახელმწიფოში ადგილი ჰქონდეს კანონსაწინააღმდეგოდ “დაკანონებული” ანტიხალხური “კანონებით” “უზრუნველყოფილ” დანაშაულებრივ ქმედებებს (?!), რაც სახელმწიფო

ხელისუფლების მხრიდან დაუყოვნებლივ მოითხოვს რადიკალური გადამჭრელი ზომების მიღებას აღნიშნული კრიმინალური ქმედებების აღმოსაფხვრელად.

ამრიგად, სახელმწიფოს პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემისადმი მცდარი მიდგომის დაძლევისათვის და სახელმწიფო ხელისუფლების სტრატეგიულ მიმართულებად ყოველი ადამიანის (ხალხის) კანონიერი და სამართლიანი უფლებების დაცვისა და ხალხის ინტერესების რეალიზაციის – როგორც განმსაზღვრელი და მამოძრავებელი სოციალური მიზნის – ჩამოყალიბებისათვის, მნიშვნელოვნად მიმაჩნია – ჩემს მიერ მრავალი წლის წინ შექმნილ და ჯერ კიდევ 1980 წელს გამოქვეყნებულ რევოლუციურად ახალ მეთოდოლოგიურ მიდგომაზე დაყრდნობა, რომლის თანახმად:

ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და ჭეშმარიტად ადამიანური სახელმწიფოს მშენებლობისა და ფუნქციონირებისათვის ყველა გზა, ფორმა და მეთოდი გამართლებულია, თუ ისინი ემსახურებიან სოციალური (ჰუმანოსოციალური) მიზნის – ხალხის (ყოველი ადამიანის) ინტერესების – რეალიზაციას, და თუ ამავე დროს გამორიცხავენ ანტი-სოციალურ, ანტი-ჰუმანურ, ანტი-ზნეობრივ მოვლენებს [10, გვ. 93].

ზემოაღნიშნული პრინციპულად ახალი მეთოდოლოგიური მიდგომა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჰუმანოსოციალური სახელმწიფოს ფუნქციონირების განმსაზღვრელი სტრატეგიული მიმართულება და, შესაბამისად, პოლიტიკური ორიენტაცია უნდა იყოს – ყოველი ადამიანის კანონიერი და სამართლიანი უფლებების დაცვა და ხალხის ინტერესების რეალიზაცია.

* * *

დაბოლოს, ყოველგვარი ცრუ თითქოსდა "დიპლომატიური" – მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში კი სრულიად უაზრო – "თავმდაბლობის" გარეშე (რამეთუ რევოლუციურად ახალი იდეების გატანა და ცხოვრებაში დამკვიდრება ბრძოლის გარეშე წარმოუდგენელია, ხოლო ბრძოლა და "თავმდაბლობა" – შეუთავსებადია) განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო, რომ ხალხის სამსახურში მდგომი სახელმწიფოს ეფექტიანი ფუნქციონირება შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოს მართვისადმი და სახელმწიფოს პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემების გადაჭრისადმი ინოვაციური – პრინციპულად ახალი – მიდგომით, რომელსაც უდავოდ საფუძვლად უნდა დაედოს ჩემს მიერ შექმნილი რევოლუციურად ახალი მეცნიერული მიმართულებები და რევოლუციურად ახალი მეცნიერული თეორიები – სოციალური მიზნის ფილოსოფია [11], ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია [12] და თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია [13], რომელთა გარეშე, ადამიანის – ხალხის – ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს და მსოფლიოს ეფექტიანი ფუნქციონირება და მართვა სრულიად წარმოუდგენელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მინდა იმედი გამოვთქვა, რომ ჩემს მიერ შექმნილი და შემოთავაზებული რევოლუციურად ახალი მეცნიერული მიმართულებები და რევოლუციურად ახალი მეცნიერული თეორიები – როგორც

ყოველი ადამიანის კანონიერი და სამართლიანი უფლებების დაცვაზე და ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე გამიზნული საზოგადოების და სახელმწიფოს ეფექტიანი ფუნქციონირებისა და მართვის ინტელექტუალური საფუძველი – სახელმწიფო ხელისუფლების მიერ წარმატებით დაინერგება საქართველოში, და აგრეთვე გავრცელდება ჭეშმარიტად ცივილიზებული ორიენტაციის მქონე სახელმწიფოებში საერთაშორისო მასშტაბით, როგორც პრინციპულად ახალი – პროგრესული – ჰუმანოსოციალური მიმართულების მეცნიერული იდეები, რომელთა საფუძველზე:

1. როგორც მეცნიერულ კვლევაში, ისე სახელმწიფო მართვაში უნდა ამოვდიოდეთ სოციალური (ჰუმანოსოციალური) მიზნიდან – ხალხის (ყოველი ადამიანის) ინტერესებიდან, და არა ეკონომიკურ საშუალებათა თვითმიზნიდან, ანუ განმსაზღვრელი კრიტერიუმი როგორც მეცნიერულ კვლევაში, ისე სახელმწიფო მართვაში უნდა იყოს ხალხის ინტერესების რეალიზაცია – როგორც უზენაესი და მამოძრავებელი მიზანი.

2. უზენაესობა საზოგადოებაში და სახელმწიფოში უნდა ეკუთვნოდეს ადამიანის – ხალხის – ინტერესებს, და არა კანონს, რომელიც ამ ინტერესების რეალიზაციის აუცილებელ საშუალებას უნდა წარმოადგენდეს, რამეთუ ადამიანი კი არ იბადება და ცხოვრობს კანონებისათვის, არამედ კანონები იქმნება (უნდა იქმნებოდეს) ადამიანის – ხალხის – ინტერესების რეალიზაციისათვის, რასაც პრაქტიკაში ყოველთვის არა აქვს ადვილი.

რაც შეეხება სამართლის უზენაესობას, ის (სამართლის უზენაესობა) ისევე გაუმართლებელია, როგორც გაუმართლებელია კანონის უზენაესობა, რამეთუ სამართალი ისევე, როგორც კანონი – არის ხალხის ინტერესების რეალიზაციის აუცილებელი საშუალება, რადგან “სამართალი არის ბუნებით განპირობებული ადამიანთა უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი ზოგადსავალდებულო ქცევის წესების ერთობლიობა და საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგების სისტემა, რომელსაც ახასიათებს ნორმატიულობა, ფორმალური განსაზღვრულობა, სისტემურობა და მათი შესრულება სახელმწიფოებრივი ზემოქმედებით არის უზრუნველყოფილი” [14].

მაშასადამე, უზენაესობა უნდა ეკუთვნოდეს სწორედ ადამიანის – ხალხის – ინტერესებს, მაგრამ ამ ინტერესების რეალიზაცია უნდა ხორციელდებოდეს არა უბრალოდ კანონის, და არა უბრალოდ სამართლის გამოყენებით, არა კანონსაწინააღმდეგოდ “დაკანონებული” ანტიხალხური – დანაშაულებრივი – “კანონების” ”საფუძველზე”, არამედ უნდა ხდებოდეს მხოლოდ სამართლიანი კანონების გამოყენებით, რამეთუ სამართლიანობის დაცვა – ხალხის ინტერესების რეალიზაციის აუცილებელი პირობაა.

3. თანამდებობის პირებს უნდა გააჩნდეთ არა მარტო უფლებები, არამედ მოღვაწეობის შედეგებისათვის მათ უნდა ეკისრებოდეთ აგრეთვე პასუხისმგებლობა (მათ შორის, უნდა ეკისრებოდეთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა), რომელიც დაბალანსებული იქნება მათ უფლებებთან.

სწორედ თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის დაბალანსება არის საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეფექტიანი ფუნქციონირებისა და ეფექტიანი მართვის აუცილებელი პირობა.

ყველა ზემოაღნიშნული და მრავალი სხვა პრობლემები, და აგრეთვე მათი გადაჭრის ჩემს მიერ შემუშავებული მეცნიერულად დასაბუთებული გზები და მექანიზმები საფუძვლიანად არის განხილული მონოგრაფიებში [11; 12; 13; 15; და სხვა], რომლებიც გამოცემულია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, და რომლებსაც იცნობენ აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში.

დასკვნისას მე უპირველეს ყოვლისა მივმართავ სახელმწიფოთა ლიდერებს: იფიქრეთ ადამიანებზე!!! იფიქრეთ და იზრუნეთ ხალხზე!!!

თქვენი უფლებები და მოვალეობები გამოიყენეთ დანიშნულებისამებრ, რაც, როგორც საყოველთაოდ არის ცნობილი, ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოთა ლიდერები და სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლები უნდა ემსახურობდნენ ხალხის – ყოველი ადამიანის – ინტერესებს, ხოლო ამის განხორციელება შესაძლებელია სწორედ ჩემს მიერ შექმნილი რეკოლუციურად ახალი მეცნიერული მიმართულებების და რეკოლუციურად ახალი მეცნიერული თეორიების საფუძველზე [11; 12; 13; 15; და სხვა].

ამასთანავე, სახელმწიფოთა ლიდერებმა და სახელმწიფო ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ვინც არ ემსახურება ხალხს, ადრე თუ გვიან მას მაინც დაეკისრება პასუხისმგებლობა, რომელიც დაბალანსებული იქნება მის (როგორც თანამდებობის პირის) უფლებებთან და მოვალეობებთან – ემსახუროს ხალხის (ყოველი ადამიანის) ჰუმანოსოციალურად ორიენტირებულ კანონიერ და სამართლიან ინტერესებს!!!

ლიტერატურა

1. კურატაშვილი ალფრედ. ადამიანის კონსტიტუციური უფლებები და სახელმწიფოში აზარტული “თამაშები”-ს დაშვების კანონიერების პრობლემა (?). *სახელმწიფოს უზენაესი და მამოძრავებელი მიზანი უნდა იყოს – არა ფული, არა მოგება, არა კაპიტალი, არამედ ადამიანის უფლებების დაცვა და ხალხის ინტერესების რეალიზაცია!!!* საზოგადოების პოლიტიკურ-სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები* (11-12.09.2013). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2013.

2. კურატაშვილი ალფრედ. სახელმწიფოში აზარტული “თამაშების” დაშვება და “დაკანონება” – ადამიანის უმთავრესი უფლებების უხეში გათელვაა (?). *ბიზნესის ხელის შეწყობა მნიშვნელოვანი და აუცილებელია, მაგრამ ცალკეული პირების და თუნდაც სახელმწიფოს გამდიდრებას ადამიანები არ უნდა ეწირებოდნენ (?).* ადამიანის უფლებების დაცვის სახელმწიფოებრივი პრობლემები. *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები* (12.08.2014). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2014.

<http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/162012>

3. Кураташвили Альфред А. Азартные «игры» – как преступление против человечности: Международно-Правовая проблема защиты прав и интересов человека (?). *Свобода Человека – не есть свобода дикаря в лесу, а, следовательно, свобода Человека должна регулироваться разумными, нравственными и справедливыми законами в интересах самого Человека – в интересах народа!!!* Международный научный журнал "Прогресс", 2014, №5-6. Международная Академия социально-экономических наук. Тбилиси: Международное издательство "Прогресс", 2014.

4. კურატაშვილი ალფრედ. სახელმწიფოში ხალხის გენოციდის შენიღბული ფორმით “დაკანონება” – ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულია (!). საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „პროგრესი“, 2015, №5-6. სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემია. თბილისი, საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2015.

5. კურატაშვილი ალფრედ. კომერციული ბანკებისა და სხვა საფინანსო ორგანიზაციების თაღლითური ხერხებით ადამიანებზე “წადირობა” – შენიღბული ფორმით ხალხის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებრივი ქმედებაა, მაგრამ... (!). სახელმწიფო მართვა: პრობლემები და პერსპექტივები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები (15.11.2015). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2015.

http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/162161/1/State_Managment_Problems_%20And_Prospects_2015_N24.pdf

6. საქართველოს კონსტიტუცია. მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს.

<http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68>

7. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“. 2009 წლის 4 დეკემბერი. № 2257 – III.

http://tcc.gov.ge/uploads/kanonebi/saerto_sasamartloebis_sesaxeb_saqartvelos_kanoni.pdf

8. კურატაშვილი ალფრედ. მოსამართლეთა უფლებებთან დაბალანსებული მათი პასუხისმგებლობის გარეშე – სახელმწიფოში სამართლიანობის დამკვიდრება ცარიელ – ცრუ – ლოზუნგად დარჩება (!). სახელმწიფო მართვა: პრობლემები და პერსპექტივები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები (15.11.2015). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2015.

http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/162161/1/State_Managment_Problems_%20And_Prospects_2015_N24.pdf

9. Шадури В. Ленинградский университет и деятели грузинской культуры. Тбилиси: Издательство «Мерани», 1968.

10. Кураташвили Альфред А. Философско-политэкономические миниатюры.

Материалы Республиканской научной конференции: "Актуальные проблемы теории" (15-16 мая 1980 г.). Тбилиси: "Мецნიერება", 1980.

11. კურატაშვილი ალფრედ. სოციალური მიზნის ფილოსოფია. პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება – ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფორმირებისა და ფუნქციონირების ამოსავალი თეორიული საფუძველი (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2003.

12. კურატაშვილი ალფრედ. ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია. პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება და მმართველობითი სამართლის, ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების სამართლებრივი სისტემისა და მთლიანად სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემამკმნადი თეორია (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003.

13. კურატაშვილი ალფრედ. თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია. პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება – ადამიანის ინტერესების დაცვისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის აუცილებელი მეცნიერული საფუძველი (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003.

14. სამართალი.

<http://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98>.

15. კურატაშვილი ალფრედ. პოლიტიკური მენეჯმენტის ფილოსოფიურ-სამართლებრივი საფუძველები. მმართველობითი სამართალი და ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების სამართლებრივი სისტემისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის განმსაზღვრელი თეორიული ბაზისი (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003.

შპპ 1+32+33+34+35

აღფრედ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო)

ეკონომიკურ, ფილოსოფიურ და იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი საზოგადოებრივ მეცნიერებებში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი საჯარო სამართალში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ეკონომიკური თეორიის განყოფილების გამგე, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ “პროგრესი“-ს და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ “იურისპრუდენციის პრობლემები“-ს დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი, სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, პოლიტიკური მენეჯმენტის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი და იურიდიულ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აშშ პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სანკტ-პეტერბურგის კულტურის ისტორიის საზოგადოებრივი აკადემიის ნამდვილი წევრი, ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი

**მოსამართლეთა
კანონსაწინააღმდეგო ქმედებების
“წახალისების”
“სამართლებრივი” “საფუძველია” –
დანაშაულებრივი კანონმდებლობა,
რომლითაც აკრძალულია
კრიმინალი მოსამართლეთა
სისხლის სამართლის
კასუსისგებაში მიცემა (!?)**

**რა არის მოსამართლის მიერ მიღებული
კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება,
თუ არა კრიმინალური ქმედება –
თუ არა სამსახურებრივი
უფლებამოსილების გადამეტება
და სამსახურებრივი უფლებამოსილების
ბოროტად გამოყენება?!**

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-7 მუხლის თანახმად:

“ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და, განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, ყველას აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული კანონის მიერ. ყველა ადამიანს აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან და ასეთი დისკრიმინაციის ყოველგვარი წაქეზებისაგან” [1, მუხლი 7].

კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობა, როგორც ცნობილია, დაფიქსირებულია აგრეთვე სახელმწიფოთა კონსტიტუციებში.

ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობა – ადამიანის უფლებებისა და სამართლიანობის დაცვის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს, რაც ასახულია, როგორც საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში, ისე სახელმწიფოთა კონსტიტუციებში, არცთუ იშვიათად, აღნიშნულ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში და სახელმწიფოთა კონსტიტუციებში ასახული ჭეშმარიტად სამართლიანი და სამართლებრივი ნორმების საწინააღმდეგოდ, – თვითონ სახელმწიფოთა კონსტიტუციებში ჩადებული და დაფიქსირებულია კონსტიტუციის არსის და დანიშნულების რადიკალურად შეუსაბამო, ანუ ანტიკონსტიტუციური – უდავოდ დანაშაულებრივი, აშკარად კრიმინალური – “სამართლებრივი” “ნორმები”, რითაც დარღვეულია ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე – დარღვეულია საყოველთაოდ აღიარებული სამართლიანობის პრინციპი, და რითაც “დაკანონებულია” მრავალი ადამიანის – მილიონობით ადამიანის – დისკრიმინაცია (!!).

ამ შემთხვევაში მე შევეხები კანონის წინაშე იმ უთანასწორობის არსებობის პრობლემას, რომელიც მდგომარეობს მოსამართლეთათვის სახელმწიფოს კონსტიტუციით (სახელმწიფოთა კონსტიტუციებით) კანონსაწინააღმდეგოდ და დანაშაულებრივად “დაკანონებულ” უპასუხისმგებლობაში – მოსამართლეთათვის პასუხისმგებლობის არარსებობაში, მათ მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღებისათვის – მათ მიერ ჩადენილი სისხლისსამართლებრივად დასჯადი დანაშაულისათვის (!!).

აბა რა არის, თუ არა კრიმინალური ქმედება – რა არის, თუ არა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშეტება და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, როდესაც ადგილი აქვს მოსამართლის მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებას?!

ამასთან, მე ეჭვი მეპარება, რომ ზოგიერთ მოსამართლეთა მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღება გამოწვეული იყოს მათი ჭკუის სისუსტით, რომლებმაც მოსამართლეობის უფლება მოიპოვეს თითქოსდა იმით, რომ თუთიყუშივით დაიზებირეს კანონები, მაგრამ... (!!).

და თუ ნამდვილად არა აქვს ადგილი ზოგიერთ მოსამართლეთა ჭკუის სისუსტეს*, მაშინ რით შეიძლება იყოს გამოწვეული, რბილად რომ ვთქვათ, ცალკეულ მოსამართლეთა მიერ კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი, აშკარად კრიმინალური – გადაწყვეტილებების მიღება?!

* თუმცა გაკვირვებას იწვევს ზოგიერთი მოსამართლის ქმედება, როდესაც ის უაზროდ “წყალს ნაყავს” და სრულიად უსაფუძვლოდ წლების მანძილზე იხილავს უმარტივეს საქმეს, რომელშიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საშუალო დონის მოსწავლეს კი ადვილად გაერკვეოდა, მაგრამ რომელ საქმესაც ეს მოსამართლე რატომღაც ძალიან “რთულ” საქმედ “მიიჩნევს” (!!), როდესაც მოსამართლე ვერ ერკვევა, ან ვითომდა ვერ ერკვევა ელემენტარულ სამართლებრივ საკითხებში, როდესაც ის გაოცებული შეჰყურებს ხან მოსარჩელეს და ხან მოპასუხეს, და როდესაც ეს მოსამართლე საბოლოოდ აშკარად კანონსაწინააღმდეგო – კრიმინალურ – გადაწყვეტილებას ღებულობს (!!).

აქ პასუხი, *ჩემი ღრმა რწმენით*, მდგომარეობს იმაში, რომ არ არსებობს მოსამართლეთა იურიდიული პასუხისმგებლობა მათ მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღებისათვის, რაც მოსამართლეთა დანაშაულებრივი ქმედებების “წახალისების” “საფუძველს” წარმოადგენს (?!).

უფრო მეტიც, მოსამართლეს აქვს უსაზღვრო უფლებები და, *ამავე დროს*, მას არ ეკისრება არავითარი პასუხისმგებლობა კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი, აშკარად კრიმინალური – გადაწყვეტილებების მიღებისათვის, ანუ მოსამართლეს არ ეკისრება არავითარი პასუხისმგებლობა სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების გადაშეცემისა და სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ქმედება სისხლისსამართლებრივად დასჯად დანაშაულს წარმოადგენს.

ამრიგად, სრულიად უდავოა, რომ მოსამართლეთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების “წახალისების” “სამართლებრივი” “საფუძველია” – დანაშაულებრივი კანონმდებლობა, რომლითაც აკრძალულია კრიმინალი მოსამართლეების სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა (?!).

თუმცა მოსამართლე, რომელსაც საკმარისი ჭკუა, კომპეტენცია, შინაგანი პატიოსნება და სინდისი გააჩნია, იურიდიული პასუხისმგებლობის არარსებობის პირობებშიც კი არ დაუშვებს მისი მხრიდან კანონსაწინააღმდეგო და უსამართლო ქმედებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთო სასამართლოებში მოღვაწეობს მრავალი ღირსეული – *კომპეტენტური, პრინციპული და სამართლიანი* – მოსამართლე, რომელიც არავისთვის, არაფრისთვის და არავის ზეგავლენით არ მიიღებს კანონსაწინააღმდეგო – *დანაშაულებრივ* – გადაწყვეტილებას, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ გადაამეტებს თავის სამსახურებრივ (თანამდებობრივ) უფლებამოსილებას, ბოროტად არ გამოიყენებს თავის სამსახურებრივ (თანამდებობრივ) უფლებამოსილებას, *რისთვისაც ის მხოლოდ მაღლობას იმსახურებს*, მაგრამ, *სამწუხაროდ*, ყველა მოსამართლე ასეთი არ არის (?!).

ამიტომ, მოსამართლის “გალმერთების” ნაცვლად, მას უდავოდ უნდა ეკისრებოდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მის მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებისათვის.

ნუთუ სახელმწიფოს კონსტიტუციით (*სახელმწიფოთა კონსტიტუციებით*) სახელმწიფოებრივი თანამდებობის პირების დანაშაულებრივ ქმედებებზე “დაკანონებული” “იმუნიტეტის” არსებობა, *და ამით მილიონობით ადამიანის დისკრიმინაცია*, არ არის “ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის” (რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი) მე-14 მუხლით გათვალისწინებული – “დისკრიმინაციის აკრძალვის” [2] საწინააღმდეგო ქმედება სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან?!

ნუთუ ეს არის ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე, როდესაც სახელმწიფოებრივ თანამდებობის პირებს გააჩნიათ “იმუნიტეტი” დანაშაულებრივ ქმედებაზე, რაც ამავე დროს მილიონობით ადამიანის კონსტიტუციურად “დაკანონებული” დისკრიმინაციის უდავო მაგალითს წარმოადგენს?!

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსამართლეთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების “წახალისების” “სამართლებრივი” “საფუძვლების” აღმოფხვრის მიზნით რადიკალურად უნდა შეიცვალოს დანაშაულებრივი კანონმდებლობა, უნდა მოხდეს კრიმინალური კანონმდებლობის გაადამიანურება ჩემს მიერ შექმნილი – თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის საფუძველზე!!!

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ რადიკალური საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდეს არა მარტო საქართველოში, არამედ ანალოგიური საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდეს აგრეთვე ყველა სახელმწიფოში, სადაც არ არის დაბალანსებული თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა მათ უფლებებთან, სადაც არ არის დაცული ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე.

კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 87-ე მუხლის პირველ პუნქტში [3] უნდა დარჩეს მხოლოდ სიტყვები: “მოსამართლე ხელშეუხებელია“, და ისიც უნდა დარჩეს გარკვეული დაზუსტებით, ხოლო სიტყვები: „დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა“, და ყველაფერი დანარჩენი ამოღებული უნდა იქნეს ამ პუნქტიდან, რამეთუ დაუშვებელია და დაუშვებელი უნდა იყოს არა მოსამართლის, არამედ მხოლოდ უდანაშაულო – *ნებისმიერი უდანაშაულო* – ადამიანის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა.

ამასთან, სიტყვები: “მოსამართლე ხელშეუხებელია“, უნდა დაზუსტდეს შემდეგი სიტყვებით: „მასზე ზეგავლენის მოხდენის დაუშვებლობის თვალსაზრისით სასამართლოში საქმის განხილვისა და მის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში“.

ამრიგად, საქართველოს კონსტიტუციის 87-ე მუხლის პირველი პუნქტი [3] უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

“მოსამართლე ხელშეუხებელია მასზე ზეგავლენის მოხდენის დაუშვებლობის თვალსაზრისით სასამართლოში საქმის განხილვისა და მის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში“.

მაშასადამე, საქართველოს კონსტიტუციაში ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილების შეტანით მოიხსნება გარკვეული – *თუმცა კი კანონსაწინააღმდეგო, მაგრამ კონსტიტუციურად „დაკანონებული“* – წინააღმდეგობა ადამიანის უფლებათა დაცვის გზაზე, მოიხსნება წინააღმდეგობა კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის დამკვიდრების გზაზე.

კერძოდ, ამ შემთხვევაში მოიხსნება წინააღმდეგობა თანასწორობის დამკვიდრების გზაზე, ერთი მხრივ, მოსამართლეებს – როგორც სახელმწიფოებრივ თანამდებობის პირებს – შორის, ხოლო, მეორე მხრივ, იმ ადამიანებს შორის, რომლებსაც სახელმწიფოებრივი თანამდებობები არ უკავიათ, და ამით გარკვეულწილად დაძლეული იქნება მილიონობით ადამიანის ღისკრიმინაცია.

თუმცა მოსამართლეების პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად შესაბამისი ცვლილებები უნდა შევიდეს არა მარტო საქართველოს კონსტიტუციაში (და, საერთოდ, არა მარტო სახელმწიფოთა კონსტიტუციებში), არამედ აგრეთვე საქართველოს ორგანულ კანონში „საერთო სასამართლოების შესახებ“ [4].

საქართველოს ორგანული კანონიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ [4] – კერძოდ კი ამ კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტიდან, და აგრეთვე მე-7 მუხლის პირველი პუნქტიდან – ამოღებული უნდა იქნეს ის „სამართლებრივი ნორმები“, რომლებითაც აკრძალულია მოსამართლეთა მიცემა სისხლის სამართლის პასუხისმგებაში, რათა დაძლეულ იქნეს „დაკანონებული“ უკანონობა და უსამართლობა, და რათა მოსამართლეებს პასუხი მოეთხოვოთ კანონსაწინააღმდეგო – კრიმინალური – გადაწყვეტილებების მიღებისათვის.

კერძოდ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-40 მუხლის პირველ პუნქტში შეტანილი უნდა იქნეს ისეთივე ცვლილებები, როგორც საქართველოს კონსტიტუციის 87-ე მუხლის პირველ პუნქტში, და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტი [4] უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

“მოსამართლე ხელშეუხებელია მასზე ზეგავლენის მოხდენის დაუშვებლობის თვალსაზრისით სასამართლოში საქმის განხილვისა და მის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში“.

რაც შეეხება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველ პუნქტს, ამ პუნქტიდან ამოღებული უნდა იქნეს ბოლო წინადადება, ანუ ამოღებული უნდა იქნეს შემდეგი სიტყვები: „არავის არა აქვს უფლება, მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე“ [4], ისევე როგორც საქართველოს კონსტიტუციიდან ამოღებული უნდა იქნეს 84-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც ფორმულირებულია შემდეგნაირად: „არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე“ [3].

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტიდან აღნიშნული სიტყვების ამოღების აუცილებლობა, ისევე როგორც საქართველოს კონსტიტუციიდან 84-ე მუხლის

მე-3 პუნქტის ამოღების აუცილებლობა, განპირობებულია იმით, რომ მოსამართლე – როგორც სახელმწიფოებრივი თანამდებობის პირი – უნდა ემსახურებოდეს ხალხს და ანგარიშვალდებული უნდა იყოს მის წინაშე ყოველ კონკრეტულ საქმეზე, რამეთუ სწორედ ხალხის ხარჯზე ცხოვრობს და სწორედ ხალხის ხარჯზე ღებულობს მოსამართლე ყველაზე მაღალ ხელფასს, ხოლო, როგორც ცნობილია: „ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს“!!!

გარდა ამისა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადების ბოლოს, სიტყვები „...თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე“ უნდა შეიცვალოს სიტყვებით – „...თავისი შინაგანი რწმენის გათვალისწინებით“, რომლის შემდეგ უნდა დაისვას მძიმე და უნდა დაემატოს შემდეგი სიტყვები:

„რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს და სხვა სამართლიან კანონებს“.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადებაში ზემოაღნიშნული ცვლილებების შეტანის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ მოსამართლე მკითხავი არ არის და სრულიად დაუშვებელია, რომ მან გადაწყვეტილება მიიღოს თავისი საკუთარი დაუსაბუთებელი „მოსაზრებების“ და „თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე“.

ამიტომ, თუმცა მოსამართლემ შეიძლება გაითვალისწინოს და კიდევაც უნდა გაითვალისწინოს თავისი შინაგანი რწმენა, მაგრამ ყველა მოსამართლეს კარგად უნდა ესმოდეს, რომ მან თავისი შინაგანი რწმენა შეიძლება გაითვალისწინოს მხოლოდ კანონის ფარგლებში, ანუ მოსამართლემ თავისი შინაგანი რწმენით შეიძლება მიიღოს და უნდა მიიღოს არა კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – გადაწყვეტილება, არამედ მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მხოლოდ კონსტიტუციის და კანონის ფარგლებში.

ამრიგად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი [4] უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის გათვალისწინებით, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს და სხვა სამართლიან კანონებს“.

ამასთანავე, ჩემი ღრმა რწმენით, ყოველთვის გასათვალისწინებელია, რომ მოსამართლე – ღმერთი კი არ არის, არამედ ისიც ადამიანია, რომელიც (ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ადამიანი) შეიძლება ცდებოდეს.

ხოლო ზოგიერთი მოსამართლე ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება განზრახაც კი “ცდებოდეს” (!).

ზემოაღნიშნული აუცილებლად მოითხოვს, ჩემს მიერ შექმნილი – თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის [5] შესაბამისად, მოსამართლეების მიმართ შესაბამისი სამართლებრივი პასუხისმგებლობის მექანიზმების ამოქმედებას, და აგრეთვე ახალი სამართლებრივი მექანიზმების შექმნას და დანერგვას სახელმწიფოთა კონსტიტუციებისა და სხვა სამართლებრივი აქტების, მათ შორის, სისხლის სამართლის კოდექსის დონეზე.

სასამართლო პრაქტიკაში არის აგრეთვე შემთხვევები, როდესაც მოსამართლე ვერანაირად ვერ გარკვეულა – ვერ ერკვევა (ანდა თითქოსდა ვერ ერკვევა) სამართლებრივი თვალსაზრისით უმარტივეს “სადავო” პრობლემაში, რომელიც არა მარტო იურისტისათვის, არამედ ნებისმიერი ნორმალურად მოაზროვნე ადამიანისათვის იმდენად “ხელოვნურად” მოსჩანს, რომ სადავოც კი არაფერია, და, მიუხედავად ამისა, სრულიად უსაფუძვლო ვითომდა “არგუმენტებზე” – ფაქტობრივად კი ჭორებზე – დაყრდნობით ეს მოსამართლე აშკარად კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებას ღებულობს, რაც მოსამართლეს არ უნდა ათავისუფლებდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, რომელიც მას უნდა დაეკისროს – მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის.

უფრო მეტიც, საერთო სასამართლოების მოსამართლეებს უნდა დაეკისროთ არა მარტო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ყოველ კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებაზე – მათ მიერ მიღებულ ყოველ კონკრეტულ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებაზე, არამედ მოსამართლეებს უნდა ეკისრობოდათ აგრეთვე პასუხისმგებლობა მათი კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების შედეგად დაზარალებული პირის მორალური ზიანის ანაზღაურებაზე, რაც სათანადოდ უნდა იქნეს ასახული კანონმდებლობაში.

საქართველოს კონსტიტუციის 87-ე მუხლის პირველ პუნქტში ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ, როგორც ზემოთაც გამახვილდა ამაზე ყურადღება, თუმცა მოსამართლე მართლაც ხელშეუხებელი უნდა იყოს კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებისას – არავის არ უნდა ჰქონდეს მასზე ზეგავლენის მოხდენის უფლება და შესაძლებლობა, მაგრამ მოსამართლე არ უნდა იყოს თავისუფალი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან მის მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებისათვის – მის მიერ

სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების გადამეტებისათვის, სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის და ა. შ., ანუ მოსამართლე არ უნდა იყოს თავისუფალი მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი – კრიმინალური – ქმედებისათვის.

მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის „ამკრძალავი“ „სამართლებრივი ნორმის“ ამოღება საქართველოს კონსტიტუციიდან აამოქმედებს მოსამართლეების მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მოთხოვნებს [6, მუხლი 332, 333], რაც კანონის მიმართ თანასწორ პირობებში ჩააყენებს მოსამართლეებს და ჩვეულებრივ ადამიანებს, ანუ იმ ადამიანებს, რომლებსაც სახელმწიფოებრივი თანამდებობები არ უკავიათ.

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ თუმცა საქართველოს კონსტიტუციის 87-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად დაუშვებელია მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, მაგრამ მოსამართლე შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში და ა. შ. მხოლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში, ეს სრულიად უსამართლო, კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – და ალოგიკური ნორმაა (?!).

ზემოაღნიშნული „სამართლებრივი ნორმის“ კონსტიტუციიდან ამოღების აუცილებლობა უდავოა, რამეთუ უმთავრესი ის არის, რომ თუ მოსამართლემ გადაამეტა თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას, თუ მან ბოროტად გამოიყენა თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილება, მაშინ ამ მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას არავისი ნებართვა – არავისი „თანხმობა“ – არ უნდა სჭირდებოდეს, რადგან ამით ირღვევა კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის კონსტიტუციურად დაკანონებული და საერთაშორისო მასშტაბით საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი ნორმა, რითაც ამ შემთხვევაში ხდება კრიმინალი მოსამართლის სრულიად უსაფუძვლო „გამართლება“ ყოველგვარი გამოძიებისა და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გარეშე, და რითაც ხდება მოსამართლის მიერ მომავალში ახალი დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის „წახალისება“ (?!).

ამრიგად, ყოვლად გაუმართლებელია, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს (მიუხედავად მისი დამსახურებისა, სამართლიანობისა, კომპეტენტურობისა და ა. შ.) უფლება ჰქონდეს დაარღვიოს ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე და მან განსაზღვროს – დაუშვას თუ არა კრიმინალი მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, რადგან არცერთ კრიმინალს, მიუხედავად მისი თანამდებობრივი მდგომარეობისა (მათ შორის, კრიმინალ მოსამართლეს), კონსტიტუციით „დაკანონებული“ ეგრეთ წოდებული „კრიშა“ არ უნდა იცავდეს, რამეთუ ეს აშკარად „დაკანონებული“ უკანონობა და სისხლისსამართლებრივად დასჯადი დანაშაულია (?!).

ცხადია, რომ მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და, როგორც არაერთხელ იქნა აღნიშნული ჩემს მიერ, ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ მოსამართლე უნდა ემორჩილებოდეს მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს, ხოლო თუნდაც მისი „შინაგანი რწმენით“ (!) კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღებისათვის, ანუ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის – მას უნდა ეკისრებოდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რის გარეშეც სახელმწიფოში სამართლიანობა მხოლოდ ხალხის მოსატყუებელ ცრუ ლოზუნგად დარჩება.

აქ სამართლიანად და ლოგიკურად ისმის კითხვა:

ვინ მისცა სახელმწიფო ხელისუფლებას, რომელიც ხალხს უნდა ემსახურებოდეს, იმის უფლება, რომ კონსტიტუციურად „დააკანონოს“ ადამიანების უთანასწორობა კანონის წინაშე, რომ მოსამართლეები – სახელმწიფოებრივი თანამდებობის პირები – „იმუნიტეტის“ საშუალებით „ღმერთებად“ გამოაცხადოს, რომლებსაც ყველაფრის უფლება ეძლევათ და, ამავე დროს, რომლებსაც არავითარი პასუხი არ მოეთხოვებათ თავის კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივ, აშკარად კრიმინალურ – ქმედებებზე, რომლებსაც არავითარი პასუხი არ მოეთხოვებათ მათ მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღებაზე, და რომ ამით ხალხის – მილიონობით ადამიანის (რომლებიც თანამდებობის პირები არ არიან და პასუხს აგებენ თავის კანონსაწინააღმდეგო ქმედებებზე) – დისკრიმინაცია „დააკანონოს“?!

ნუთუ თავისი დანაშაულებრივი ქმედებებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ უნდა ეკისრებოდეთ იმ თანამდებობის პირებს, რომლებმაც სახელმწიფოთა კონსტიტუციებით „დააკანონეს“ ადამიანების ზემოაღნიშნული უთანასწორობა კანონის წინაშე, რამაც მილიონობით ადამიანის დისკრიმინაცია გამოიწვია?!

უდავოა, რომ ნებისმიერ უდანაშაულო ადამიანს უნდა ჰქონდეს და აქვს კიდევ „იმუნიტეტი“ სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემაზე, მაგრამ დანაშაულებრივ ქმედებაზე არავის და, მათ შორის, არც მოსამართლეს არ უნდა ჰქონდეს არავითარი „იმუნიტეტი“, რამეთუ ამ შემთხვევაში „იმუნიტეტი“ არის ადამიანების კონსტიტუციურად „დაკანონებული“ უთანასწორობა კანონის წინაშე და მრავალი ადამიანის დისკრიმინაცია, რაც სისხლისსამართლებრივად დასჯადი დანაშაულია (!).

ამრიგად, ჩემს მიერ შექმნილი თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის მოთხოვნათა შესაბამისად, სასამართლო ხელისუფლების მიმართ, ისევე, როგორც საერთოდ სახელმწიფოებრივ თანამდებობის პირთა მიმართ, აუცილებლად უნდა დაინერგოს და ამოქმედდეს იურიდიული პასუხისმგებლობის მექანიზმები, რათა

მოსამართლეს კანონით ეკისრებოდა პასუხისმგებლობა, რომელიც დაბალანსებული იქნება მის უფლებებთან და მოვალეობებთან, რამეთუ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფოში სამართლიანობაზე და კანონის წინაშე ადამიანების თანასწორობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იქნება.

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ თითქოსდა მოსამართლეების დანაშაულებრივი ქმედებებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან დაცვის ("იმუნიტეტის") კონსტიტუციით "დაკანონება" შეიძლება გამართლებული იქნეს უცხოეთის სახელმწიფოებისათვის – ეგრეთ წოდებული "ცივილიზებული" სამყაროსათვის – მიბაძვით (?!), ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიმაჩნია გამახვილდეს ყურადღება შემდეგზე:

ჯერ-ერთი, აღნიშნულ პრობლემაზე საზღვარგარეთის სახელმწიფოების კონსტიტუციებში არსებული "სამართლებრივი ნორმების" არსებობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს ეს ნორმები სამართლიანია და სამართლებრივად სწორია თვითონ იმ სახელმწიფოებისათვის, რომელთა კონსტიტუციებშიც ასახულია ეს ნორმები.

და, მეორეც, საერთოდ უცხოეთის სახელმწიფოების მიბაძვასთან დაკავშირებით განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ილია ჭავჭავაძის სიტყვები, რომელიც აღნიშნავდა, რომ პროგრესული მოძღვრების გავლენამ მხოლოდ იმ მკვლევარს შეიძლება მოუტანოს სარგებლობა, "ვინც ყოველი დასკვნა გაატარა თავისი კრიტიკის ქარცეცხლში და არ მიიღო და არ ირწმუნა ის ბრმად" [7, გვ. 39-40].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მით უმეტეს ყოველად გაუმართლებელია, როდესაც "ბრმად" ვექცევით უცხოეთის სახელმწიფოების არა პროგრესული მოძღვრების გავლენის ქვეშ, არამედ როდესაც ვბაძავთ ამ სახელმწიფოების კონსტიტუციებში ასახულ ისეთ უსამართლო ვითომდა "სამართლებრივ" ნორმებს, რომლებითაც ილახება მილიონობით ადამიანის უფლებები, რამეთუ ამ ეგრეთ წოდებული "სამართლებრივი" ნორმებით უხეშად ირღვევა ადამიანების საყოველთაოდ აღიარებული თანასწორობა კანონის წინაშე (?!).

ამრიგად, სახელმწიფოში ადამიანის უფლებების დაცვა და სამართლიანობის დამკვიდრება მოითხოვს – არა უცხოეთის სახელმწიფოების კონსტიტუციებისადმი ბრმად მიბაძვას, არამედ მოითხოვს იმას, რომ ყველა ადამიანის კანონიერი უფლებები, თავისუფლებები და ინტერესები იქნეს დაცული, ხოლო ყველა დამნაშავე პირი, რომლის ქმედებები იწვევს ადამიანის უფლებების, თავისუფლებების და ინტერესების შელახვას, უდავოდ იქნეს დასჯილი!!!

მაშასადამე, პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ სამართლიანობის დამკვიდრება სამართლიანად და სამართლებრივად მოხდეს, რამეთუ სახელმწიფო ხელისუფლება ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს, რომ კონსტიტუციისა და

საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების თანახმად ყველა ადამიანი და, *მათ შორის*, ყველა მოსამართლე, კანონის წინაშე თანასწორია!!!

სწორედ კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის კონსტიტუციური [3, მუხლი 14] და ზოგადსაკაცობრიო მოთხოვნა აუცილებელს ხდის თვითონ სახელმწიფოთა კონსტიტუციებში რადიკალური ცვლილებების შეტანას იმ თვალსაზრისით, რომ კონსტიტუციურად ნამდვილად უზრუნველყოფილი იყოს ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე!!!

სახელმწიფოთა კონსტიტუციებში ზემოაღნიშნული რადიკალური ცვლილებების შეტანის აუცილებლობა კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის უზრუნველყოფა – სახელმწიფო ხელისუფლების უმთავრესი ამოცანა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამართლიანობის დამკვიდრების აუცილებელი პირობაა!!!

შესაბამისად, უდავოა, რომ სახელმწიფო – *საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო* – ხელისუფლების გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს დასმული პრობლემის დაუყოვნებლივ გადაჭრა, რათა დაცული იქნეს ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე, და რათა სამართლიანობა ცარიელ ლოზუნგად – ცრუ ლოზუნგად – არ დარჩეს!!!

ყოველივე ზემოაღნიშნული კიდევ ერთხელ უდავოდ ადასტურებს, რომ ჩემს მიერ შექმნილი – თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია [5], და ამ თეორიის საფუძველზე სახელმწიფოებრივ თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ურთიერთდაბალანსება არის სოციალური სამართლიანობისა და ხალხის ინტერესების უზენაესობის [8] რეალიზაციის აუცილებელი პოლიტიკურ-სამართლებრივი საფუძველი.

თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია ამავე დროს არის ჩემს მიერ შექმნილი პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება, რომელიც საზოგადოების, სახელმწიფოსა და მთლიანად კაცობრიობის ეფექტიანი ფუნქციონირების აუცილებელ პოლიტიკურ-სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს.

”თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია, – *როგორც მე ჯერ კიდევ მრავალი წლის წინ აღვნიშნავდი*, – არის წინააღმდეგობის გადაჭრის საფუძველი, ერთი მხრივ, იმ უფლებებსა და მოვალეობებს შორის, რომლებიც სახელმწიფოს, და, მამასადამე, იმ სახელმწიფოებრივ თანამდებობის პირებსაც გააჩნიათ, რომელთა მოღვაწეობითაც ხორციელდება საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფუნქციონირება, და, მეორე მხრივ, ამ თანამდებობის პირთა მოღვაწეობის შედეგებზე მათი კონკრეტული თეორიული და პრაქტიკული იურიდიული პასუხისმგებლობის არარსებობას შორის, რამეთუ თანამდებობის პირები, ასრულებენ რა თავის უფლებებსა და მოვალეობებს, რაც საბოლოო ჯამში კონკრეტულად გამოიხატება იმაში, რომ

ემსახურონ საზოგადოებას – ემსახურონ ხალხს, ზოგჯერ ისე „ემსახურებიან ხალხს“, რომ მათი „მოღვაწეობა“ იწვევს ხალხის ძარცვას და გაღატაკებას, ხოლო შესაბამისი პასუხისმგებლობა ამისათვის არ არსებობს.

გარდა ამისა, თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია საშუალებას იძლევა გადალახულ იქნეს წინააღმდეგობა, ერთი მხრივ, რიგითი მოქალაქეების მოქმედებებზე არსებულ პასუხისმგებლობასა და, მეორე მხრივ, თანამდებობის პირთა მოღვაწეობის შედეგებზე მათი პასუხისმგებლობის არარსებობას შორის, რომელიც (თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა) დაბალანსებული უნდა იყოს მათ უფლებებთან – მართონ ან უშუალო მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვაში, და ამით ეს თეორია გზას უჩვენებს პრაქტიკას თანამდებობის პირთა უფლებებთან დაბალანსებული იურიდიული პასუხისმგებლობის მექანიზმების შექმნისა და ამოქმედების ასპექტში” [5, გვ. 127-128].

ლიტერატურა

1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. დამტკიცებული და საჯაროდ გამოცხადებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს. თბილისი: გამომცემლობა „სამშობლო“, 1992.
http://www.parliament.ge/files/stajireba_2012/kanonebi/1948-adamianis-uflebata-sayoveltao-deklaracia.doc
2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია. რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი.
<http://www.parliament.ge/files/international-acts/conventions/3250-Is-09-06-2006.doc>
3. საქართველოს კონსტიტუცია. მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს.
<http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68>
4. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“. 2009 წლის 4 დეკემბერი. № 2257 – II ს.
http://tcc.gov.ge/uploads/kanonebi/saerto_sasamartloebis_sesaxeb_saqartvelos_kanoni.pdf
5. კურატაშვილი ალფრედ. თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია. *პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება – ადამიანის ინტერესების დაცვისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის აუცილებელი მეცნიერული საფუძველი* (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003.
6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. 1999 წლის 22 ივლისი. №2287 რს
http://tcc.gov.ge/uploads/kanonebi/sisxlis_samartlis_kodeqsi.pdf
7. Шадური В. Ленинградский университет и деятели грузинской культуры. Тбилиси: Издательство «Мерани», 1968.
8. კურატაშვილი ალფრედ. ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია. *პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება და მმართველობითი სამართლის, ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების სამართლებრივი სისტემისა და მთლიანად სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემამაქნადი თეორია* (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003.

შპპ 1+32+33+34+35

ალფრედ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო)

ეკონომიკურ, ფილოსოფიურ და იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი საზოგადოებრივ მეცნიერებებში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი საჯარო სამართალში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ეკონომიკური თეორიის განყოფილების გამგე, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ “პროგრესი“-ს და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ “იურისპრუდენციის პრობლემები“-ს დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი, სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, პოლიტიკური მენეჯმენტის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი და იურიდიულ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აშშ პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სანკტ-პეტერბურგის კულტურის ისტორიის საზოგადოებრივი აკადემიის ნამდვილი წევრი, ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი

**მოსამართლეთა ლუსტრაცია და
კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების
მიმღებ მოსამართლეთა
სასამართლო სისტემიდან “მოკვეთა” –
სახელმწიფოში სამართლიანობის
მიღწევისა და დამკვიდრების
უპირველესი და აუცილებელი პირობაა!!!**

კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობა – წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვისა და სამართლიანობის დამკვიდრების უმთავრეს პრინციპს, რაც, *ჩემი ღრმა და მეცნიერულად დასაბუთებული რწმენით*, იმდენად ცხადია, რომ ის განხილვას და დავას არ ექვემდებარება.

უფრო ზუსტად კი, ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე – განხილვას და დავას არ უნდა ექვემდებარებოდეს.

მაშასადამე, ყოველად გაუმართლებელია, როდესაც კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობა – პრობლემად იქცევა, რის გამოც ის განხილვის და დავის საგანი ხდება, რამეთუ ყველასთვის, *განსაკუთრებით კი მათთვის, ვინც მართავს სახელმწიფოს – ვინც მართავენ სახელმწიფოებს*, სრულიად გასაგები უნდა იყოს, რომ კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის გარეშე, სამართლიანობა მხოლოდ ცარიელ – ცრუ – ლოზუნგად დარჩება.

სწორედ ამიტომ, ჭეშმარიტად ადამიანურ საზოგადოებაში და სახელმწიფოში – იმ საზოგადოებაში და სახელმწიფოში, რომელიც ხალხის ინტერესებს ემსახურება, კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობა – არც მეცნიერულ და არც პრაქტიკულ პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს, მით უმეტეს, რომ აღნიშნული პრინციპი საყოველთაოდ აღიარებულია მსოფლიო მასშტაბით, რაც ასახულია, როგორც საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში, ისე სახელმწიფოთა კონსტიტუციებში.

კერძოდ, *მაგალითად*, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-7 მუხლის თანახმად: “ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და, განურჩევლად

რაიმე განსხვავებისა, ყველას აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული კანონის მიერ. ყველა ადამიანს აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან და ასეთი დისკრიმინაციის ყოველგვარი წაქეზებისაგან” [1, მუხლი 7].

რაც შეეხება სახელმწიფოთა კონსტიტუციებს, *მაგალითად*, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად: “ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა” [2, მუხლი 14].

რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის მე-19 მუხლის თანახმად: “სახელმწიფო უზრუნველყოფს ადამიანის და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების თანასწორობას, განურჩევლად სქესისა, რასისა, ეროვნებისა, ენისა, წარმოშობისა, ქონებრივი და თანამდებობრივი მდგომარეობისა...” [3, მუხლი 19, პუნქტი მე-2].

უკრაინის კონსტიტუციის 24-ე მუხლის თანახმად: “მოქალაქეებს აქვთ თანაბარი კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები და თანასწორნი არიან კანონის წინაშე.

არ შეიძლება იყოს პრივილეგიები და შეზღუდვები...” [4].

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის თანახმად: “ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე” [5].

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის 33-ე მუხლის თანახმად: “ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ყველა მოქალაქე თანასწორია კანონის წინაშე” [6, მუხლი 33].

იაპონიის კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად: “ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და დაუშვებელია მათი დისკრიმინაცია პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობებში რასის, რელიგიის, სქესის, სოციალური მდგომარეობის, და აგრეთვე წარმოშობის მოტივებით” [7, მუხლი 14].

იტალიის რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-3 მუხლის თანახმად: “ყველა მოქალაქეს აქვს ერთნაირი სამოქალაქო უფლებები და ყველა თანასწორია კანონის წინაშე განურჩევლად სქესისა, რასისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური მრწამსისა, პირადი და სოციალური მდგომარეობისა” [8, მუხლი 3].

მიუხედავად კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის საყოველთაო აღიარებისა, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, ასახულია როგორც საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში, ისე სახელმწიფოთა კონსტიტუციებში, თვითონ კონსტიტუციის – თვითონ კონსტიტუციების – არსობრივი ბუნებისა და პრინციპების საწინააღმდეგოდ, ისევ სახელმწიფოთა კონსტიტუციებით (და, შესაბამისად, აგრეთვე სხვა სამართლებრივი აქტებით) დანაშაულებრივად არის „დაკანონებული“ ადამიანების უთანასწორობა კანონის წინაშე – „დაკანონებული“ სახელმწიფოებრივი თანამდებობის პირთათვის “იმუნიტეტის” არსებობა მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებზე, რაც, *ამავე დროს*, წარმოადგენს სახელმწიფოებრივი თანამდებობის არმქონე მილიონობით ადამიანის დისკრიმინაციის დანაშაულებრივად „დაკანონებას“, მაშინ როდესაც ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა, ადამიანების დისკრიმინაცია სისხლისსამართლებრივად დასჯადი დანაშაულია [9, მუხლი 142, 142¹].

* * *

ადამიანთა თანასწორუფლებიანობის პრობლემასთან და სახელმწიფოებრივი თანამდებობის პირთათვის დანაშაულებრივი “იმუნიტეტის” არსებობასთან დაკავშირებით, რაც – ანუ ამ “იმუნიტეტის” არსებობა – უდავოდ იწვევს თანმდევ პროცესს (თანმდევ პროცესებს), რომელიც (რომლებიც) გამოიხატება მილიონობით ადამიანის დისკრიმინაციაში, კიდევ და კიდევ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ ჩემს მიერ შექმნილი თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის [10] საფუძველზე, რომლის გარეშე შეუძლებელია სოციალური სამართლიანობისა და ხალხის ინტერესების უზენაესობის ჩემს მიერვე შექმნილი პოლიტიკურ-სამართლებრივი თეორიის [11] პრაქტიკული რეალიზაცია.

* * *

კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის პრობლემასთან დაკავშირებით, რომელიც მდგომარეობს, მაგალითად, მოსამართლეთათვის საქართველოს კონსტიტუციით [2, მუხლი 84, პუნქტი 3; მუხლი 87, პუნქტი პირველი] (სახელმწიფოთა კონსტიტუციებით) და, შესაბამისად, აგრეთვე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით [12, მუხლი 7, პუნქტი პირველი; მუხლი 40, პუნქტი პირველი] კანონსაწინააღმდეგოდ და უსამართლოდ “დაკანონებული” „იმუნიტეტის“ არსებობაში, რომლითაც ფაქტობრივად “დაკანონებულია” მოსამართლეთა პასუხისმგებლობის არარსებობა – მათ მიერ ჩადენილი სისხლისსამართლებრივად დასჯადი დანაშაულისათვის, ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ აღნიშნულ პრობლემას ჩემს მიერ მიუძღვნა მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებშიც მოცემულია ამ პრობლემის გადაჭრის სამართლებრივი მექანიზმები [13; და სხვა*].

ამასთანავე, გარდა იმისა, რომ აუცილებელ და გადაუდებელ პრობლემას წარმოადგენს – კანონის წინაშე ყველა ადამიანის, და, მათ შორის, მოსამართლეთა, თანასწორუფლებიანობის დამკვიდრება, რაც დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს, აუცილებელად მიმაჩნია აგრეთვე მოსამართლეთა ლუსტრაციის სპეციალური კანონის მიღება, რომლის ამოქმედების შედეგად უნდა მოხდეს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიმღები ყველა მოსამართლის სასამართლო სისტემიდან “მოკვეთა”, რაც სახელმწიფოში სამართლიანობის დამკვიდრების უპირველესი და აუცილებელი პირობაა!!!

* იხილეთ, მაგალითად, აქვე:

კურატაშვილი ალფრედ. მოსამართლეთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების “წახალისების” “სამართლებრივი” “საფუძველია” – დანაშაულებრივი კანონმდებლობა, რომლითაც აკრძალულია კრიმინალი მოსამართლეების სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა (?!). რა არის მოსამართლის მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება, თუ არა კრიმინალური ქმედება – თუ არა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება?! (გვ. 11-22).

მოსამართლეთა ლუსტრაციის სპეციალური კანონის მიღების აუცილებლობა განპირობებულია იმ მრავალი ფაქტის არსებობით, რომლებიც ამხელს და ადასტურებს, *რბილად რომ ვთქვათ*, არაერთი მოსამართლის მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების (გადაწყვეტილებების) მიღებას, რაც მოსამართლის მხრიდან სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების გადამეტებას და სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, ანუ სისხლისსამართლებრივად დასჯად დანაშაულს წარმოადგენს [9, მუხლი 332, 333], რამეთუ მოსამართლის დამოუკიდებლობა და „შინაგანი რწმენით საფუძველზე“ გადაწყვეტილების მიღების „უფლება“ არ ნიშნავს კანონისგან მის დამოუკიდებლობას [12, მუხლი 7, პუნქტი პირველი], და, *შესაბამისად*, მოსამართლის მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება უდავოდ წარმოადგენს სამსახურებრივი უფლებამოსილების აშკარა გადამეტებას და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მოსამართლეთა მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღებისათვის მათზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, არსებული კანონმდებლობის პირობებში „დიდ სირთულეებთან“ არის დაკავშირებული (თუმცა შეუძლებელი არ არის, თუ სახელმწიფო ხელისუფლება მონდომებს, მაგრამ... (?!)), ხოლო მოსამართლეთა მიმართ ეგრეთ წოდებული „კრიშის“ მოხსნისა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ამოქმედების შემთხვევაში კანონს არ მიეცემა უკუქცევითი ძალა, რის გამოც კრიმინალი მოსამართლეები დაუსჯელად გააგრძელებენ „საქმიანობას“ დაკავებულ თანამდებობებზე სასამართლო სისტემაში.

სწორედ ამიტომ, სახელმწიფო ხელისუფლების აუცილებელ და გადაუდებელ ამოცანას – მოსამართლეთა მიმართ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღებისათვის მათზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების სამართლებრივი მექანიზმების ამოქმედებასთან ერთად, წარმოადგენს მოსამართლეთა ლუსტრაციის სპეციალური კანონის მიღება, რომლის საფუძველზე მხილებული უნდა იქნეს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიმღები ყველა მოსამართლე, რომელთა რიცხვი არცთუ მცირეა, და აღნიშნული მოსამართლეები, როგორც მინიმუმ, სასწრაფოდ „მოკვეთილი“ უნდა იქნენ სასამართლო სისტემიდან.

ლუსტრაციის პრობლემასთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ საერთოდ, როგორც ცნობილია, ლუსტრაცია „აღმოსავლეთი ევროპის რიგ ქვეყნებში საპასუხისმგებლო სახელმწიფო თანამდებობის პირებისა და კანდიდატთა შემოწმების განსაკუთრებული პროცედურაა, რომლის მიზანია გამოარკვიოს წარსულში ამ პირების კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობისადმი ან სახელმწიფო უშიშროების სამსახურისადმი კუთვნილება ან გამოამჟღავნოს ფაქტები ამ სამსახურთან მათი თანამშრომლობის შესახებ“ [14].

რაც შეეხება მოსამართლეთა ლუსტრაციის სპეციალური კანონის მიღებას, აღნიშნული კანონი იქნება სრულიად განსხვავებული და ყოველმხრივ სამართლიანი, რამეთუ მოსამართლე პასუხს აგებს არა იმაზე, რომ ის

სასამართლოში (თუნდაც დანაშაულებრივ, თუნდაც კორუმპირებულ სასამართლოში) მოსამართლედ მუშაობდა და/ან მუშაობს, არამედ ის პასუხს აგებს მის მიერ ჩადენილ კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებაზე (ქმედებებზე), რაც იმაში გამოიხატება, რომ მან გადაამეტა სამსახურებრივ უფლებამოსილებას და მიიღო კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – გადაწყვეტილება, რის გამოც ის უდავოდ „მოკვეთილი“ უნდა იქნეს სასამართლო სისტემიდან.

აქვე კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლეთა ლუსტრაციის სპეციალური კანონის მიღებასთან და ამოქმედებასთან ერთად, სახელმწიფო ხელისუფლების გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს – *უნდა წარმოადგენდეს* – ასევე სახელმწიფოს კონსტიტუციით (სახელმწიფოთა კონსტიტუციებით) და, *შესაბამისად*, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით მოსამართლეთა მიმართ დანაშაულებრივად „დაკანონებული“ ეგრეთ წოდებული „კრიშის“ „მოხსნა“ – მოსამართლეთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებზე „დაკანონებული“ „იმუნიტეტის“ გაუქმება, რამეთუ ამ „იმუნიტეტის“ არსებობით ადგილი აქვს მილიონობით ადამიანის დისკრიმინაციას, რაც წარმოადგენს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ (რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი) მე-14 მუხლით გათვალისწინებული – „დისკრიმინაციის აკრძალვის“ [15] საწინააღმდეგო ქმედებას სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან (!!).

დაბოლოს, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მე დიდ პატივისცემას გამოვხატავ ყველა სამართლიანი და კომპეტენტური მოსამართლის მიმართ, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩემი კრიტიკა მათ საერთოდ არ ეხებათ.

უფრო მეტიც, ნამდვილად პატიოსან, სამართლიან და კომპეტენტურ მოსამართლეებს უნდა უხაროდეთ, რომ „განიწმინდოს“ სასამართლო სისტემა უღირსი – დამნაშავე – ეგრეთ წოდებული „მოსამართლეებისგან“, რომლებიც ახდენენ სასამართლო სისტემის დისკრედიტაციას.

ამასთან, თუ ვინმე – *რომელიმე* მოსამართლე – თავის თავზე მიიღებს ჩემს კრიტიკას, თუ რომელიმე მოსამართლე თავის თავს ამოიცნობს კრიმინალ „მოსამართლეთა“ შორის, მან პრობლემა თავის თავში უნდა ეძებოს, რადგან ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ ამ „მოსამართლესაც“ მიღებული აქვს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება – მიღებული აქვს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები, რაზედაც მას უდავოდ პასუხი უნდა მოეთხოვოს, თანაც მთელი სიმკაცრით, რამეთუ კანონის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ გარდა სასამართლო სისტემიდან „მოკვეთისა“ და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისა, კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებისათვის, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას წარმოადგენს, ასეთ „მოსამართლეს“ – ხალხის, ქვეყნის, სახელმწიფოს ღალატისათვის „ვირზე უკუღმა უნდა სვამდნენ და ატარებდნენ“ (ანუ საჯაროდ უნდა ამხელდნენ და არცხვენდნენ), რათა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა სხვა მოსამართლეებმა ვეღარ გაბედონ.

ლიტერატურა

1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. დამტკიცებული და საჯაროდ გამოცხადებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს. თბილისი: გამომცემლობა “სამშობლო”, 1992.
http://www.parliament.ge/files/stajireba_2012/kanonebi/1948-adamianis-uflebata-sayoveltao-deklaracia.doc
2. საქართველოს კონსტიტუცია. მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს.
<http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68>
3. Конституция Российской Федерации. Принята всенародным голосованием 12 декабря 1993 г. <http://constitution.kremlin.ru/>
4. Конституция Украины. (Ведомости Верховной Рады Украины (ВВР Украины), 1996, № 30, ст. 141) <http://rada.gov.ua/uploads/documents/27396.pdf>
5. Основной закон Федеративной Республики Германии, 23 мая 1949 г.
http://www.1000dokumente.de/index.html/index.html?c=dokument_de&dokument=0014_gru&object=translation&l=ru
6. Конституция Китайской Народной Республики. Принята Всекитайским Собранием Народных Представителей 4 декабря 1982 г.
<http://www.sovetika.ru/knr/konst.htm> <http://www.sovetika.ru/knr/konst2.htm>
7. Конституция Японии. <http://anime.dvdspecial.ru/Japan/constitution.shtml>
8. Конституция Итальянской Республики. Была принята 22 декабря 1947 г.
file:///C:/Documents%20and%20Settings/Hiome11/%D0%9C%D0%BE%D0%B8%20%D0%B4%D0%BE%D0%BA%D1%83%D0%BC%D0%B5%D0%BD%D1%82%D1%8B/Downloads/costituzione%20in%20cirillico_899.pdf
9. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. 1999 წლის 22 ივლისი. №2287 რს
http://tcc.gov.ge/uploads/kanonebi/sisxlis_samartlis_kodeqsi.pdf
10. კურატაშვილი ალფრედ. თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია. *პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება – ადამიანის ინტერესების დაცვისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის აუცილებელი მეცნიერული საფუძველი* (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003.
11. კურატაშვილი ალფრედ. ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია. *პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება და მმართველობითი სამართლის, ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების სამართლებრივი სისტემისა და მთლიანად სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემაქმნადი თეორია* (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003.
12. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“. 2009 წლის 4 დეკემბერი. № 2257 – IIს.
http://tcc.gov.ge/uploads/kanonebi/saerto_sasamartloebis_sesaxeb_saqartvelos_kanoni.pdf
13. კურატაშვილი ალფრედ. მოსამართლეთა უფლებებთან დაბალანსებული მათი პასუხისმგებლობის გარეშე – სახელმწიფოში სამართლიანობის დამკვიდრება ცარიელ – ცრუ – ლოზუნგად დარჩება (?!). სახელმწიფო მართვა: პრობლემები და პერსპექტივები. *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები* (15.11.2015). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2015. გვ. 3-12.
http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/162161/1/State_Managment_Problems_%20And_Prospects_2015_N24.pdf
14. ლუსტრაცია. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=12444>
15. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია. რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი.
<http://www.parliament.ge/files/international-acts/conventions/3250-Is-09-06-2006.doc>

შპპ 1+32+33+34+35

აღფრედ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო)

ეკონომიკურ, ფილოსოფიურ და იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი საზოგადოებრივ მეცნიერებებში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი საჯარო სამართალში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ეკონომიკური თეორიის განყოფილების გამგე, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ “პროგრესი“-ს და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ “იურისპრუდენციის პრობლემები“-ს დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი, სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, პოლიტიკური მენეჯმენტის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი და იურიდიულ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აშშ პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სანკტ-პეტერბურგის კულტურის ისტორიის საზოგადოებრივი აკადემიის ნამდვილი წევრი, ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი

**მოსამართლის მიერ მიღებული
კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების
არარა აქტად
ცნობის აუცილებლობა
და მისი სამართლებრივი საფუძვლები**

**ისეთს რას “წარმოადგენს” უსამართლო “მოსამართლე”,
რომ მისი კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი –
გადაწყვეტილება არარა აქტად გამოცხადებას
არ დაექვემდებაროს?!**

ადამიანის უფლებების დაცვის, სამართლიანობის დამყარებისა და დამკვიდრების ინტერესები – ხალხის (ყოველი ადამიანის) ინტერესები – მოითხოვს, რომ საზოგადოებაში და სახელმწიფოში, როგორც იურიდიულად, ისე ფაქტობრივად უზრუნველყოფილი იყოს ადამიანების თანასწორობა კანონის წინაშე, რაც, *ჩემი ღრმა და მეცნიერულად დასაბუთებული რწმენით*, განაპირობებს იმის აუცილებლობას, რომ სახელმწიფო ხელისუფლების დონეზე მიღებული (გამოცემული) ნებისმიერი კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება – არარა აქტად გამოცხადებას დაექვემდებაროს!!!

* * *

ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების და ჭეშმარიტად ადამიანური სახელმწიფოს მშენებლობის და ფუნქციონირების პირობებში, ანუ იმ საზოგადოების და სახელმწიფოს მშენებლობის და ფუნქციონირების პირობებში, რომელიც ხალხის – *ყოველი ადამიანის* – ინტერესებს ემსახურება (რაც ამ საზოგადოებისა და სახელმწიფოს არსებობის განმსაზღვრელ კრიტერიუმს წარმოადგენს), და რომელიც, ამავე დროს, როგორც მე ვერ კიდევ 1980 წელს აღვნიშნავდი, გამორიცხავს ანტისოციალურ, ანტიჰუმანურ, ანტიზნობრივ მოვლენებს [1, გვ. 93], სრულიად წარმოდგენილი და გამორიცხულია, რომ დაცული არ იყოს ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე, რაც საყოველთაოდ აღიარებულია, და, *შესაბამისად*, ასახულია, როგორც საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში [2, მუხლი 7; 3, მუხლი

17; და სხვა], ისე სახელმწიფოთა კონსტიტუციებში [4, მუხლი 14; 5, მუხლი 3; 6, მუხლი 14; და სხვა], და რის გარეშეც სახელმწიფოში სამართლიანობის არსებობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, *მაშინ როდესაც*, კანონის წინაშე ადამიანების უთანასწორობა – სახელმწიფოში კანონსაწინააღმდეგოდ “დაკანონებული” დისკრიმინაციის არსებობის უდავო დადასტურებას წარმოადგენს.

ამასთან, კანონის წინაშე ადამიანების – *მათ შორის, სახელმწიფოებრივი თანამდებობების პირების, ანუ ყოველი ადამიანის* – თანასწორობის რეალური უზრუნველყოფა, ყოველი ადამიანის სამართლიანი უფლებების დაცვა და ხალხის ინტერესების რეალიზაცია შეუძლებელი იქნება, თუ სახელმწიფოს ფუნქციონირება და მართვა არ განხორციელდა ჩემს მიერ შექმნილი რევოლუციურად ახალი მეცნიერული მიმართულებებისა და რევოლუციურად ახალი მეცნიერული თეორიების – *სოციალური მიზნის ფილოსოფიის* [7], *ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორიის* [8] და *თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის* [9] – საფუძველზე.

ზემოაღნიშნული მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნა ემყარება და ეფუძნება შემდეგს:

სოციალური მიზნის ფილოსოფია – “ეს არის ფილოსოფიური სისტემა, რომელიც წარმოადგენს ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემის ფუნქციონირების სოციალური მიზნობრივი მიმართულების განსაზღვრის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს” [7, გვ. 119-120], ხოლო საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფუნქციონირების სოციალური – ჰუმანოსოციალური – მიზნობრივი მიმართულება გამორიცხავს კანონის წინაშე ადამიანების უთანასწორობას და, საერთოდ, უსამართლობას, *რამეთუ ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე გამიზნული საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემის ფუნქციონირება და უსამართლობის არსებობა – ერთმანეთთან შეუთავსებადია.*

საზოგადოებისა და სახელმწიფოს სოციალური მიზნობრივი მიმართულების და ხალხის ინტერესების რეალიზაციის თეორიულ – *პოლიტიკურ-სამართლებრივ* – საფუძველს წარმოადგენს ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია [8], რომელიც უდავოდ აღიარებს კანონიერების დაცვის და უკანონობის – *კანონსაწინააღმდეგო ქმედებების* – წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობას და განსაკუთრებულ მნიშვნელობას, მაგრამ რომელიც დაუშვებლად მიიჩნევს „კანონის უზენაესობის“ არსებობას საზოგადოებაში და სახელმწიფოში.

ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია, „კანონის უზენაესობის“ პრობლემათან დაკავშირებით გამორიცხავს ისეთი კანონების და სხვა სამართლებრივი აქტების არსებობას, რომლებიც ხალხის ინტერესების უზენაესობას – სოციალურ მიზანს – არ ექვემდებარება.

მამასადამე, ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორიის პრაქტიკაში რეალიზაცია ასევე გამორიცხავს სახელმწიფოში კანონის წინაშე ადამიანების უთანასწორობის და, საერთოდ, უსამართლობის არსებობას.

ზემოაღნიშნულ პრობლემაზე მე ჯერ კიდევ მრავალი წლის წინ ვწერდი შემდეგს:

„კანონის უზენაესობის პრობლემა, კანონშემოქმედებისა და კანონების გამოყენების პრობლემა საზოგადოებაში და სახელმწიფოში განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ღებულობს ბაზრის, ფულის, მოგების, კაპიტალის ბატონობის პირობებში, როდესაც ყიდვა-გაყიდვას ექვემდებარება ყველა და ყველაფერი.

ასეთ პირობებში, ზოგიერთი ყოფილი და ამჟამინდელი სახელმწიფო მოხელე, ან სხვა პირები, რომლებიც გამდიდრდნენ ხალხის მარცვის ხარჯზე, ზოგჯერ აღწევენ მაღალ სახელმწიფო თანამდებობებს ხელისუფლებაში, რომლებიც მათ შეიძლება გამოიყენონ, ერთი მხრივ, იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ პასუხისმგებლობა მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებებისათვის, და, მეორე მხრივ, თავისი თანამდებობები შეიძლება გამოიყენონ მათ მიერ ნაპარცვი სახსრების უკანონოდ „დაკანონებისათვის“, და აგრეთვე მათ მიერ ხალხის შემდგომი მარცვისათვის“ [8, გვ. 154].

ამასთანავე, საყოველთაოდ აღიარებული „კანონის უზენაესობისგან“ განსხვავებით, *ჩემი ღრმა რწმენით*, „კანონებს არ შეიძლება ჰქონდეს უზენაესობა საზოგადოებაში და სახელმწიფოში არა მარტო იმიტომ, რომ ზოგჯერ ღებულობენ და ფუნქციონირებს ისეთი კანონები და სხვა სამართლებრივი აქტები, რომლებიც ლახავს ადამიანის უფლებებს, თავისუფლებებს და ინტერესებს, არამედ უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ კანონები იქმნება და ფუნქციონირებს ადამიანისათვის (ხალხისათვის), და არა ადამიანი იბადება და ცხოვრობს კანონებისათვის“ [8, გვ. 161].

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ „ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია, რომელიც დაფუძნებულია ჩემს მიერ შექმნილ მიზნის ფილოსოფიაზე – სოციალური მიზნის ფილოსოფიაზე, და რომელიც დაფუძნებულია აგრეთვე ჩემს მიერ შექმნილი ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური კანონის თეორიაზე, საშუალებას იძლევა მოიხსნას წინააღმდეგობები კანონის უზენაესობასა და ისეთი კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების მიღებისა და აღსრულების პრაქტიკას შორის, რომლებიც ეწინააღმდეგება ადამიანის ინტერესებს – რომლებიც ეწინააღმდეგება ხალხის ინტერესებს, რის შედეგადაც აღნიშნული თეორია შესაბამისობაში მოდის ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნებთან“ [8, გვ. 200-201].

რაც შეეხება თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიას [9], აღნიშნული თეორია წარმოადგენს საზოგადოებისა და სახელმწიფოს სოციალური მიზნობრივი მიმართულების და ხალხის ინტერესების უზენაესობის პრაქტიკული რეალიზაციის აუცილებელ თეორიულ საფუძველს, რამეთუ თანამდებობის პირთა უფლებებთან დაბალანსებული მათი პასუხისმგებლობის გარეშე სამართლიანობაზე და კანონის წინაშე ადამიანების თანასწორობის არსებობაზე, როგორც ზემოთაც აღინიშნა ჩემს მიერ, ლაპარაკიც კი ზედმეტია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოში ადამიანის უფლებების დაცვის და სამართლიანობის დამკვიდრების აუცილებლობის გათვალისწინებით, ანუ ხალხის ინტერესების უზენაესობის რეალიზაციის მიზნით:

ჯერ-ერთი, მოსამართლეების (საერთოდ თანამდებობის პირების) მიმართ უნდა მოიხსნას “იმუნიტეტი”, ანუ მათ უნდა მოეხსნათ კანონსაწინააღმდეგოდ “დაკანონებული” ეგრეთ წოდებული “კრიშა”, რის “საფუძველზეც” მოსამართლეებს არ ეკისრებათ არავითარი პასუხისმგებლობა მათ მიერ მიღებულ კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივ – გადაწყვეტილებებზე (?!).

ამისთვის კი, შესაბამისი რადიკალური ცვლილებები უნდა იქნეს შეტანილი საქართველოს კონსტიტუციაში [4, მუხლი 84, პუნქტი 3; მუხლი 87, პუნქტი პირველი] და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ

კანონში [10, მუხლი 7, პუნქტი პირველი; მუხლი 40, პუნქტი პირველი], რასაც არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა ჩემს მიერ [11; და სხვა*].

და, *მეორეც*, აღნიშნული ცვლილებების განხორციელების პარალელურად, ცვლილებები უნდა შევიდეს აგრეთვე საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში [12], რომლითაც არარა აქტად აღიარებას უნდა დაექვემდებაროს – არარა აქტად უნდა ჩაითვალოს [12, მუხლი 60] – არა მარტო ამ კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (აქტები), არამედ აგრეთვე სახელმწიფოში გამოცემული – *სახელმწიფო ხელისუფლების და მისი წარმომადგენლის (წარმომადგენლების), მათ შორის, მოსამართლის (მოსამართლეების) მიერ მიღებული* – ნებისმიერი კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება, ანუ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება არ უნდა იყოს შეზღუდული არანაირი სამართლებრივი ნორმებით, და, კერძოდ, ამ კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილით [12].

წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი აქვს და ადგილი ექნება თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების არარსებობას, ადგილი აქვს და ექნება კანონსაწინააღმდეგოდ „დაკანონებულ“ უკანონობას, ადგილი აქვს და ადგილი ექნება თანამდებობის პირთა მხრიდან კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღების დანაშაულებრივ „წახალისებას“, რაც გამორიცხავს საზოგადოებაში და სახელმწიფოში კანონის წინაშე ადამიანების თანასწორობას და, *შესაბამისად*, სამართლიანობის არსებობას (?!).

ამასთან, პრინციპულად მნიშვნელოვანია და უდავოდ გასათვალისწინებელია, რომ თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის [9] შესაბამისად – რაც უფრო მეტი უფლებები აქვს თანამდებობის პირს, მით უფრო მეტი პასუხისმგებლობა უნდა ეკისრებოდეს მას თავისი საქმიანობის შედეგებზე.

სწორედ ამიტომ, როდესაც მოსამართლეს აქვს განუზომელი უფლებები (რის გამოც ზოგიერთი მოსამართლე, *როგორც ჩანს*, თავის თავს “კანონზე მაღლა აყენებს” (?)), და, *ამავე დროს*, როდესაც მას არა მარტო არა აქვს ამ უფლებებთან დაბალანსებული პასუხისმგებლობა, არამედ როდესაც თავისი საქმიანობის დანაშაულებრივ შედეგებზე – *კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების (გადაწყვეტილებების) მიღებაზე* – საერთოდ არანაირი პასუხისმგებლობა არ ეკისრება, ლოგიკურად მივდივარ იმ დასკვნამდე, რომ საზოგადოებაში და სახელმწიფოში გაბატონებულია კანონის წინაშე ადამიანების უთანასწორობა და ადგილი აქვს ადამიანების დისკრიმინაციას.

* იხილეთ, *მაგალითად*, აქვე:

კურატაშვილი ალფრედ. მოსამართლეთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების “წახალისების” “სამართლებრივი” “საფუძველია” – დანაშაულებრივი კანონმდებლობა, რომლითაც აკრძალულია კრიმინალი მოსამართლეების სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა (?). *რა არის მოსამართლის მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება, თუ არა კრიმინალური ქმედება – თუ არა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშეშება და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება?! (გვ. 11-22).*

კურატაშვილი ალფრედ. მოსამართლეთა ლუსტრაცია და კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიმღებ მოსამართლეთა სასამართლო სისტემიდან “მოკვეთა” – სახელმწიფოში სამართლიანობის მიღწევისა და დამკვიდრების უპირველესი და აუცილებელი პირობა!!! (გვ. 23-28).

ამრიგად, ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს საერთაშორისო მასშტაბით რეკოლუციური ცვლილებების განხორციელება სასამართლო სისტემაში, და *ძალიანად სახელმწიფო მართვის სისტემაში*, რათა ქვეყანა (ქვეყნები) – ხალხი – უსამართლობის „ჭაობში“ არ „ჩაიხრჩოს“.

რაც შეეხება სახელმწიფოში მიღებული – გამოცემული – კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების (გადაწყვეტილებების) არარა აქტად ცნობის სამართლებრივ მექანიზმებს, ჩემი ღრმა რწმენით, ასეთი მექანიზმების შექმნა – შემუშავება – და პრაქტიკაში განხორციელება პრობლემას არ წარმოადგენს.

კერძოდ, თუ სასამართლო დავა დამთავრდა პირველი ინსტანციის სასამართლოში, და თუ მოსამართლემ მიიღო კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება, რომელიც უკვე შევიდა ძალაში (ანუ რომელიც უკვე ველარ გასაჩივრდება ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში), ამ ფაქტის – ამ დანაშაულებრივი გადაწყვეტილების – ნებისმიერ დროს მხილების და დადასტურების შემთხვევაში (კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის შეუზღუდავად [12, მუხლი 60, ნაწილი პირველი, ქვეპუნქტი „დ“]), რაც უნდა განხორციელდეს სახელმწიფო სახელისუფლო დონეზე – მაგალითად, პარლამენტში შექმნილი სპეციალური კომპეტენტური კომისიის (შესაძლოა უცხოელ ექსპერტთა მონაწილეობითაც) დასაბუთებული დასკვნის საფუძველზე, მოხდება (უნდა მოხდეს) პირველი ინსტანციის სასამართლოში მიღებული აღნიშნული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების – ამ დანაშაულებრივი აქტის – არარა აქტად აღიარება [12, მუხლი 60, ნაწილი პირველი, ქვეპუნქტი „დ“], და, ამავე დროს, მოხდება კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიმღები უსამართლო (კრიმინალი) „მოსამართლის“ ლუსტრაცია (თუ ამ მოსამართლის ლუსტრაცია მანამდე არ მომხდარა), რასაც მოჰყვება მის მიმართ სათანადო სამართლებრივი შედეგები.

იმ შემთხვევაში კი, თუ სასამართლო დავა გაგრძელდა და დამთავრდა სააპელაციო სასამართლოში, და თუ ორივე ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეებმა მიიღეს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები, რომლებიც უკვე შევიდა ძალაში (ანუ რომლებიც უკვე ველარ გასაჩივრდება ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში), აღნიშნული დანაშაულებრივი გადაწყვეტილებების ნებისმიერ დროს მხილების და დადასტურების შემთხვევაში (კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის შეუზღუდავად), რაც შეიძლება განხორციელდეს ასევე, მაგალითად, სახელმწიფო სახელისუფლო დონეზე შექმნილი ზემოთ აღნიშნული სპეციალური კომპეტენტური კომისიის დასკვნის საფუძველზე, მოხდება (უნდა მოხდეს) ორივე ინსტანციის სასამართლოში მიღებული აღნიშნული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების – ამ დანაშაულებრივი აქტების – არარა აქტებად აღიარება [12, მუხლი 60, ნაწილი პირველი, ქვეპუნქტი „დ“], და, ამავე დროს, მოხდება კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიმღები ორივე ინსტანციის უსამართლო (კრიმინალი) „მოსამართლეების“ ლუსტრაცია (თუ ამ მოსამართლეების ლუსტრაცია მანამდე არ მომხდარა), რასაც მოჰყვება სათანადო სამართლებრივი შედეგები – იურიდიული პასუხისმგებლობის მექანიზმების ამოქმედებით აღნიშნულ უსამართლო „მოსამართლეთა“ მიმართ.

ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დავა გაგრძელდა სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში, და თუ სამივე ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეებმა მიიღეს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები, რომლებიც უკვე

შევიდა ძალაში, ამ დანაშაულებრივი გადაწყვეტილებების ნებისმიერ დროს მხილების და დადასტურების შემთხვევაში (კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის შეუზღუდავად), რაც შეიძლება განხორციელდეს ასევე სახელმწიფო სახელისუფლო დონეზე შექმნილი ზემოთ აღნიშნული სპეციალური კომპეტენტური კომისიის დასკვნის საფუძველზე, მოხდება (უნდა მოხდეს) სამივე ინსტანციის სასამართლოში მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების არარა აქტებად აღიარება [12, მუხლი 60, ნაწილი პირველი, ქვეპუნქტი „დ“], და, ამავე დროს, მოხდება კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიმღები სამივე ინსტანციის უსამართლო (კრიმინალ) „მოსამართლეთა“ ლუსტრაცია (თუ ამ მოსამართლეების ლუსტრაცია მანამდე არ მომხდარა), რასაც აგრეთვე მოჰყვება სათანადო სამართლებრივი შედეგები.

* * *

კრიმინალ „მოსამართლეთა“ ლუსტრაციასთან დაკავშირებით, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარდა მოსამართლეთა მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – გადაწყვეტილებების არარა აქტებად აღიარების შედეგად აღნიშნულ „მოსამართლეთა“ ლუსტრაციისა, კრიმინალ „მოსამართლეთა“ ლუსტრაცია შესაძლებელი და აუცილებელია აგრეთვე სხვა სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია – შემდეგი მექანიზმი:

კერძოდ, თუ პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის მიერ მიღებულ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებას გააუქმებს სააპელაციო სასამართლო და მიიღებს კანონიერ გადაწყვეტილებას, რომელიც შევა ძალაში, ეს უნდა ჩაითვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს უსამართლო „მოსამართლის“ ლუსტრაციად, რამეთუ სააპელაციო სასამართლოს კანონიერი გადაწყვეტილება ფაქტობრივად იქნება „საბრალოდ დასკვნა“ პირველი ინსტანციის სასამართლოს უსამართლო – კრიმინალი – „მოსამართლის“ მიმართ.

გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეთა მიერ მიღებულ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს გააუქმებს უზენაესი სასამართლო და მიიღებს კანონიერ გადაწყვეტილებას, ეს უნდა ჩაითვალოს პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების უსამართლო – კრიმინალი – „მოსამართლეების“ ლუსტრაციად, რამეთუ უზენაესი სასამართლოს კანონიერი გადაწყვეტილება ფაქტობრივად იქნება „საბრალოდ დასკვნა“ პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების უსამართლო – კრიმინალი – „მოსამართლეების“ მიმართ.

ზოლო იმ შემთხვევაში, თუ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით კანონსაწინააღმდეგოდ იქნა ცნობილი, მაგალითად, საქართველოს სამივე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები, ეს უნდა ჩაითვალოს ამ სამივე ინსტანციის სასამართლოების უსამართლო – კრიმინალი – „მოსამართლეების“ ლუსტრაციად, რამეთუ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება ფაქტობრივად იქნება „საბრალოდ დასკვნა“ პირველი, მეორე და მესამე ინსტანციის სასამართლოების უსამართლო – კრიმინალი – „მოსამართლეების“ მიმართ, რასაც უნდა მოჰყვეს სათანადო სამართლებრივი შედეგები – იურიდიული პასუხისმგებლობის უმკაცრესი მექანიზმების ამოქმედებით აღნიშნულ უსამართლო „მოსამართლეთა“ მიმართ.

* * *

მოსამართლეთა პასუხისმგებლობის არარსებობის პრობლემასთან დაკავშირებით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ – თავისი თანამდებობრივი მდგომარეობით „მაღალი დონის“ – „იურისტს“, და, მათ შორის, ზოგიერთ „მოსამართლეს“ „რატომლაც“ მიაჩნია, რომ თითქოს მოსამართლეს „შეცდომის დაშვების უფლება აქვს“, რასაც, ამ უაზრო „მოსაზრებების“ „ავტორები“ და/ან „გამხმორვანებლები“ ვითომდა „ასაბუთებენ“ იმით, რომ ეს „უცხოეთშიც ასეა“ (!).

ამ უსაფუძვლო ვითომდა „არგუმენტის“ პასუხად უნდა აღვნიშნო შემდეგი:

შეცდომის დაშვების უფლება საერთოდ არ არსებობს, და ყოველად დაუშვებელია, რომ ამის უფლება ვინმეს – მით უმეტეს, მოსამართლეს – ჰქონდეს, თუმცა შეცდომის დაშვებისგან „დაზღვეული“ არავინ არ არის.

ამასთან, *ჯერ-ერთი*, ერთმანეთისგან უნდა განასხვავებდნენ შეცდომას და დანაშაულებრივ – კრიმინალურ – ქმედებას.

მეორეც, შეცდომა ნებისმიერ ადამიანს შეიძლება მოუვიდეს (თანაც „შეცდომის დაშვება“, *სამწუხაროდ*, შეიძლება მოხდეს „შეგნებულადაც“ (!)), რაზედაც ნებისმიერ შემთხვევაში მას უნდა დაეკისროს შესაბამისი პასუხისმგებლობა, რამეთუ კანონის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია.

და, *მესამეც*, უცხოეთის გამოცდილება ყოველთვის სამაგალითო და მისაბადი არ არის, თუმცა, *ის სამაგალითოც რომ იყოს, იმ შემთხვევაშიც კი*, უცხოეთისადმი გაუაზრებლად და „ბრმად“ – „თუთიყუშივით“ – მიბადვა, რბილად რომ ვთქვათ, სამარცხვინოა, *მით უმეტეს, რომ* სამართლიანობის კრიტერიუმი უნდა ვეძებოთ არა უცხოეთში და მის „სამართლებრივ“ აქტებში, არამედ უნდა ვეძებოთ კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის არსებობაში და ხალხის – *ყოველი ადამიანის* – ინტერესების რეალიზაციაში.

* * *

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უდავოდ დასტურდება სახელმწიფო ხელისუფლების დონეზე მიღებული ნებისმიერი კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების არარა აქტად ცნობის – აღიარების – სამართლებრივი პრობლემის გადაჭრის აუცილებლობა, რამეთუ თანამდებობის პირის მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს მის მიერ სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების გადამეტებას და სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, რაც სისხლისსამართლებრივად დასჯად დანაშაულს წარმოადგენს [13, მუხლი 332, 333].

ამასთანავე, პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სახელმწიფო ხელისუფლების დონეზე მიღებული ნებისმიერი კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – გადაწყვეტილების არარა აქტად ცნობა ხელს შეუწყობს კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის და, საერთოდ, სამართლიანობის დამკვიდრებას, რაც ჩემს მიერ შექმნილი თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის [9] პრაქტიკული რეალიზაციის აუცილებელი პირობაა.

ლიტერატურა

1. Кураташвили Альфред А. Философско-политэкономические миниатюры. Материалы Республиканской научной конференции: “Актуальные проблемы теории” (15-16 мая 1980 г.). Тбилиси: «Мецნიერება», 1980.

2. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. დამტკიცებული და საჯაროდ გამოცხადებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს. თბილისი: გამომცემლობა “სამშობლო”, 1992.

http://www.parliament.ge/files/stajireba_2012/kanonebi/1948-adamianis-uflebata-sayoveltao-deklaracia.doc

3. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია. რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი.

<http://www.parliament.ge/files/international-acts/conventions/3250-Is-09-06-2006.doc>

4. საქართველოს კონსტიტუცია. მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს.

<http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68>

5. Основной закон Федеративной Республики Германии, 23 мая 1949 г.

http://www.1000dokumente.de/index.html/index.html?c=dokument_de&dokument=0014_gru&object=translation&l=ru

6. Конституция Японии. <http://anime.dvdspecial.ru/Japan/constitution.shtml>

7. კურატაშვილი ალფრედ. სოციალური მიზნის ფილოსოფია. *პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება – ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფორმირებისა და ფუნქციონირების ამოსავალი თეორიული საფუძველი* (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2003.

8. კურატაშვილი ალფრედ. ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია. *პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება და მმართველობითი სამართლის, ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების სამართლებრივი სისტემისა და მთლიანად სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემაქმნადი თეორია* (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003.

9. კურატაშვილი ალფრედ. თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია. *პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება – ადამიანის ინტერესების დაცვისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის აუცილებელი მეცნიერული საფუძველი* (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003.

10. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“. 2009 წლის 4 დეკემბერი. № 2257 – III.

http://tcc.gov.ge/uploads/kanonebi/saerto_sasamartloebis_sesaxeb_saqartvelos_kanoni.pdf

11. კურატაშვილი ალფრედ. მოსამართლეთა უფლებებთან დაბალანსებული მათი პასუხისმგებლობის გარეშე – სახელმწიფოში სამართლიანობის დამკვიდრება ცარიელ – ცრუ – ლოზუნგად დარჩება (?!). სახელმწიფო მართვა: პრობლემები და პერსპექტივები. *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები* (15.11.2015). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2015. გვ. 3-12.

12. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. 1999 წლის 25 ივნისი. №2181-III.

<https://matsne.gov.ge/ka/document/download/16270/20/ge/pdf>

13. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. 1999 წლის 22 ივლისი. №2287 რს http://tcc.gov.ge/uploads/kanonebi/sisxlis_samartlis_kodeqsi.pdf

შპს 1+32+33+34+35

ალფრედ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო)

ეკონომიკურ, ფილოსოფიურ და იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი საზოგადოებრივ მეცნიერებებში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი საჯარო სამართალში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ეკონომიკური თეორიის განყოფილების გამგე, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ “პროგრესი“-ს და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ “იურისპრუდენციის პრობლემები“-ს დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი, სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, პოლიტიკური მენეჯმენტის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი და იურიდიულ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აშშ პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სანკტ-პეტერბურგის კულტურის ისტორიის საზოგადოებრივი აკადემიის ნამდვილი წევრი, ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი

**ადამიანის უფლებები და
საკასაციო საჩივრის
დასაშვებობის
კანონსაწინააღმდეგოდ “დაკანონებული”
სამართლებრივი პრობლემა (!?)**

**რა არის და რა უნდა იყოს
საკასაციო საჩივრის დასაშვებობის
განმსაზღვრელი კრიტერიუმი?!**

სასამართლო სისტემა და სასამართლო ხელისუფლება, ისევე როგორც – სახელმწიფო სისტემა და სახელმწიფო ხელისუფლება საერთოდ, ჭეშმარიტად ადამიანურ საზოგადოებაში და ჭეშმარიტად ადამიანურ სახელმწიფოში არსებობს და უნდა არსებობდეს იმისათვის, რომ ემსახუროს ხალხს – არსებობს და უნდა არსებობდეს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ყოველი ადამიანის უფლებების, თავისუფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვა, არსებობს და უნდა არსებობდეს იმისათვის, რომ უზრუნველყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეფექტიანი ფუნქციონირება და სახელმწიფოს მართვა ხალხის – ყოველი ადამიანის – საკეთილდღეოდ.

* * *

ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, *სასამართლო სისტემაში არსებულ სხვა მრავალ პრობლემასთან ერთად*, საგანგაშოა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის კანონსაწინააღმდეგოდ “დაკანონებული” – ადამიანის უფლებებისა და ინტერესების შემლახავი – სამართლებრივი პრობლემის არსებობა, რაც გამოიხატება ისეთი “სამართლებრივი ნორმების” არსებობაში, რომლის – რომელი “ნორმების” – თანახმადაც იქმნება შთაბეჭდილება, რომ სასამართლო კი არ არსებობს და ფუნქციონირებს ადამიანის უფლებებისა და ინტერესების დაცვისათვის, არამედ ადამიანები არსებობენ სასამართლოსათვის (!!).

სწორედ ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ არსებული – მოქმედი – კანონმდებლობის თანახმად, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პრობლემის “გადაჭრა” – საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვება – ემსახურება არა ადამიანის უფლებებისა და ინტერესების დაცვას და სამართლიანობის უზრუნველყოფას, არამედ ის ემსახურება სასამართლო სისტემის ვითომდა “განვითარებას” – როგორც “თვითმიზანს”, ნაცვლად იმისა, რომ სასამართლო სისტემის განვითარება ემსახურებოდა ადამიანის უფლებების, თავისუფლების და კანონიერი ინტერესების დაცვას, და რომ სასამართლო სისტემა და სასამართლო ხელისუფლება – ადამიანის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის აუცილებელ საშუალებას წარმოადგენდეს.

თუ უფრო ზუსტად განვმარტავთ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის არსებული სამართლებრივი პრობლემის არსს, უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი კანონმდებლობა საკასაციო საჩივრის განსახილველად დასაშვებად არა მარტო არ ითვალისწინებს ადამიანის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის აუცილებლობას – რაც, ჩემი ღრმა რწმენით, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის კრიტერიუმს უნდა წარმოადგენდეს, არამედ ეს კანონმდებლობა – თუმცა ვითომდა “ემსახურება” “სამართლის განვითარებას”, მაგრამ ფაქტობრივად ემსახურება:

ერთის მხრივ, ადამიანის (ადამიანების) უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შელახვას – *ადამიანის უფლებებისა და ინტერესების უგულვებელყოფის გზით*.

და, *მეორეს მხრივ*, მოქმედი კანონმდებლობა ემსახურება – უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა მიერ ადამიანის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების გაუთვალისწინებელი (და ფაქტობრივად, ადამიანის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შემლახავი) გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევაში (როგორც გადაწყვეტილებების მიღების საშუალებასაც უდავოდ იძლევა მოქმედი კანონმდებლობა), აღნიშნულ მოსამართლეთა მიმართ პასუხისმგებლობის კანონსაწინააღმდეგოდ “დაკანონებულ” არარსებობას, ანუ მოქმედი კანონმდებლობა ფაქტობრივად ემსახურება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა მიერ კანონსაწინააღმდეგოდ “დაკანონებული” გადაწყვეტილებების მიღებას და ამ გადაწყვეტილებების ეგრეთ წოდებულ “გათეთრებას” (!!).

ამრიგად, საქართველოს უზენაესი სასამართლო, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პრობლემის გადასაჭრელად, ანუ საკასაციო საჩივრის დაშვებისათვის, კანონმდებლობაში არსებული – კანონსაწინააღმდეგოდ “დაკანონებული” – “სამართლებრივი ნორმების” “გამო” (ანდა აღნიშნული “ნორმების” არსებობის საბაბით და ამ ანტიისოციალურ, ანტიზნეობრივ, ანტიჰუმანურ “ნორმებზე” “დაყრდნობით” და მათზე მითითებით), საერთოდ არ ითვალისწინებს იმას, არის თუ არა შელახული ადამიანის უფლებები და კანონიერი ინტერესები პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებში

მიღებული გადაწყვეტილებებით, და, *შესაბამისად*, არ ითვალისწინებს იმას, ადგილი ხომ არა აქვს მოსამართლეთა მიერ კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – გადაწყვეტილებების მიღებას (?!).

მაშასადამე, არსებული – მოქმედი – კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დაშვება შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ საჩივრის განხილვა ვითომდა “სჭირდება” თვითონ სასამართლოს თავისი “განვითარებისათვის” (?!).

ხოლო ადამიანის უფლებების, თავისუფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის პრობლემის გადაჭრა და სახელმწიფოში სამართლიანობის უზრუნველყოფა, *ისევ არსებული – მოქმედი – კანონმდებლობით თუ ვიმსჯელებთ და ვიხელძღვანელებთ*, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პრობლემის განხილვისა და გადაწყვეტისათვის გასათვალისწინებელი საერთოდ არ არის (?!).

გასაკვირია, მაგრამ ფაქტია (?!).

კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად:

“3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ:

ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;

ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;

გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით და არსებობს ვარაუდი, რომ მას შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე” [1].

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის ანალოგიურად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის “ა”, “ბ” და “გ” ქვეპუნქტებით [2], საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დაშვებისათვის იგივე “კრიტერიუმებია” გათვალისწინებული, რაც ასევე წინააღმდეგობაშია სასამართლო ხელისუფლების უმთავრეს დანიშნულებასთან – ემსახუროს ადამიანის უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის და, *შესაბამისად*, სამართლიანობის დამკვიდრების მიზნით, სასამართლო სისტემის სხვა მრავალი გადაუდებელი სამართლებრივი პრობლემის გადაჭრასთან ერთად, აღმასრულებელმა და საკანონმდებლო ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ უნდა შეიტანოს რადიკალური ცვლილებები არსებულ – მოქმედ – კანონმდებლობაში, კერძოდ კი, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, რის შედეგადაც – საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი, *ჩემი აზრით*, უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

“3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ:

ა) საქმეზე სასამართლოს (სასამართლოების) მიერ მიღებულია გადაწყვეტილებები, რომლებითაც დარღვეულია ადამიანის (ადამიანების) უფლებები, თავისუფლებები და კანონიერი ინტერესები;

ბ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით და არსებობს ვარაუდი, რომ მას შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე”.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის ჩამოყალიბების ჩემს მიერ შემოთავაზებული ვარიანტის ანალოგიურად უნდა ჩამოყალიბდეს აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილი, რომელიც მიიღებს შემდეგ სახეს:

“5. საკასაციო საჩივარი ქონებრივ და არაქონებრივ დავებზე დასაშვებია, თუ:

ა) საქმეზე სასამართლოს (სასამართლოების) მიერ მიღებულია გადაწყვეტილებები, რომლებითაც დარღვეულია ადამიანის (ადამიანების) უფლებები, თავისუფლებები და კანონიერი ინტერესები;

ბ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

გ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე”.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ კანონმდებლობაში – საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში – ჩემს მიერ ზემოთ შემოთავაზებული ცვლილებების შესაბამისად საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პრობლემის განხილვა და მასზე კანონიერი გადაწყვეტილების მიღება კასატორის და მოწინააღმდეგე მხარის მონაწილეობის გარეშე შესაძლოა უმეტეს შემთხვევაში “გაძნელდეს” და კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება (გადაწყვეტილებები) იქნეს მიღებული, ანუ შესაძლოა “გაძნელდეს” იმის გარკვევა – დარღვეულია თუ არა სასამართლოს (სასამართლოების) მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით ადამიანის (ადამიანების) უფლებები, თავისუფლებები და კანონიერი ინტერესები.

აგრეთვე გასათვალისწინებელია, რომ ადამიანის უფლებების, თავისუფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვა ობიექტურად მოითხოვს ნებისმიერი საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვებას, და ამ საჩივრის განხილვას კასატორის და მოწინააღმდეგე მხარის მონაწილეობით, თუ აღნიშნული საჩივარი აკმაყოფილებს საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, და თუ ეს საჩივარი მიღებულია წარმოებაში.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კიდევ უფრო მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

“3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ ის აკმაყოფილებს საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, და თუ ეს საჩივარი მიღებულია წარმოებაში”.

გარდა ამისა, ამოღებული უნდა იქნეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3¹ ნაწილი, რომლითაც განსაზღვრულია, რომ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს, ხოლო აღნიშნული კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილში შეტანილი უნდა იქნეს ცვლილება და ის უნდა ჩამოყალიბდეს შემდგენიარად:

“4. ადმინისტრაციულ საქმეზე საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და გადაწყვეტილების გამოტანის ვადაა 3 თვე”.

ანალოგიურად უნდა ჩამოყალიბდეს აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილი, რომელიც მიიღებს შემდეგ სახეს:

“5. საკასაციო საჩივარი ქონებრივ და არაქონებრივ დავებზე დასაშვებია, თუ ის აკმაყოფილებს საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, და თუ ეს საჩივარი მიღებულია წარმოებაში”

გარდა ამისა, აღნიშნული კოდექსის 391-ე მუხლის მე-6 ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს შემდგენიარად:

“6. სამოქალაქო საქმეებზე საკასაციო საჩივრის მიღებისა და გადაწყვეტილების გამოტანის საერთო ვადაა 3 თვე, ხოლო უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეზე – 2 თვე”.

* * *

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედ კანონმდებლობაში საკასაციო საჩივრის დასაშვებობის კრიტერიუმად მიჩნეულია არა მიზანი (არა სოციალური მიზანი) – არა ადამიანის უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა და, *შესაბამისად*, სამართლიანობის დამკვიდრება, ანუ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის კრიტერიუმად მიჩნეულია არა ადამიანის – ხალხის – ინტერესების რეალიზაცია, რაც სასამართლო სისტემის და სასამართლო ხელისუფლების მთავარ დანიშნულებას უნდა წარმოადგენდეს, არამედ მიჩნეულია საშუალება (საშუალებები) – როგორც “თვითმიზანი”, რაც მახინჯი და ანტისოციალური, ანტიზნეობრივი, ანტიჰუმანური ფილოსოფიური მიდგომის გამოვლინებას წარმოადგენს, რომელსაც მე საშუალებათა ფილოსოფია ვუწოდებ [3; 4; და სხვა], და რომელიც ადამიანის – ხალხის – ინტერესებიდან გამომდინარე სრულიად მიუღებელი და გაუმართლებელია.

ამრიგად, ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე, საშუალებათა ფილოსოფია – როგორც სახელმწიფოს ფუნქციონირებისა და მართვისადმი ანტისოციალური, ანტიზნეობრივი, ანტიჰუმანური მიდგომის თეორიული საფუძველი (როგორც მსოფლიო მასშტაბით ასწლეულების მანძილზე ტრადიციულ ქვეული და დამკვიდრებული მახინჯი მეთოდოლოგიური მიდგომა, რომელიც ჩემს მიერ იქნა ჩამოყალიბებული – შექმნილი – მეცნიერული თეორიის სახით, როგორც არსებული რეალობის თეორიული ასახვა), ისტორიას “უნდა ჩაბარდეს”, და ამის საპირისპიროდ – ადამიანის უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი

ინტერესების დაცვისა და, შესაბამისად, სამართლიანობის დამკვიდრების მიზნით, ჭეშმარიტად ადამიანურ საზოგადოებაში და ჭეშმარიტად ადამიანურ სახელმწიფოში სასამართლო სისტემის ფუნქციონირება (*სახელმწიფოს ფუნქციონირება და მართვა საერთოდ*) უნდა დაეფუძნოს ჩემს მიერ შექმნილ და მომავალზე გამიზნულ რევოლუციურად ახალ მეცნიერულ მიმართულებებს და რევოლუციურად ახალ მეცნიერულ თეორიებს – სოციალური მიზნის ფილოსოფიას [3; 4; და სხვა], ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორიას [5; 6; და სხვა] და თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიას [8; 9; და სხვა].

სწორედ აღნიშნული მეცნიერული თეორიები წარმოადგენს საზოგადოებისა და სახელმწიფოს სოციალური (ჰუმანოსიციალური) მიზნობრივი მიმართულებით ფუნქციონირების ინტელექტუალურ საფუძველს, და სწორედ ამ მეცნიერული თეორიების საფუძველზეა შესაძლებელი საზოგადოებისა და სახელმწიფოს – ხალხის (ყოველი ადამიანის) ინტერესების რეალიზაციაზე გამიზნული ფუნქციონირება.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ეფექტიანი პრაქტიკისათვის პროგრესული თეორიის (პროგრესული თეორიების) განსაკუთრებული და უდავოდ პრინციპული მნიშვნელობა ეჭვს არ იწვევს, და არც შეიძლება იწვევდეს გონიერი ადამიანებისათვის, რამეთუ როგორც ხატოვნად და სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა გენიალური ლეონარდო და შინჩი:

“თეორია – მხედართმთავარია, პრაქტიკა – ჯარისკაცები” [7, გვ. 53].

და იქნებ სწორედ ჩემს მიერ შექმნილი და ზემოთ აღნიშნული თეორიების – სოციალური მიზნის ფილოსოფიის, ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორიის და თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის – გაუთვალისწინებლობის შედეგია საერთაშორისო მასშტაბით საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფუნქციონირებაში და სახელმწიფო მართვაში, მათ შორის, სასამართლო სისტემაში, არსებული ანტისოციალური, ანტიზნეობრივი, ანტიჰუმანური მოვლენები...?!

პასუხად სრულიად გულწრფელად და მეცნიერულად დასაბუთებულად უნდა აღვნიშნო შემდეგი:

ვისაც როგორ სურს ისე იფიქროს, მაგრამ სრულიად მიუკერძოებლად თუ ვიმსჯელებთ, დიახ – ეს ნამდვილად ასეა, რაც უდავოდ უნდა გაითვალისწინონ სახელმწიფოთა ლიდერებმა, თუ ისინი ნამდვილად ხელმძღვანელობენ ხალხის ინტერესებით, რამეთუ სახელმწიფო ხელისუფლებას, რომელიც არ ხელმძღვანელობს ხალხის ინტერესებით, და რომლის ქმედებებიც ანტისოციალურ, ანტიზნეობრივ, ანტიჰუმანურ ხასიათს ატარებს, ადრე თუ გვიან არ ასცდება ხალხის რისხვა და მის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებზე სათანადო პასუხი მოეთხოვება [10, მუხლი 332, 333; და სხვა].

* * *

ისევ კონკრეტულად საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პრობლემასთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ გავამახვილებ ყურადღებას იმაზე, რომ, როგორც

უკვე აღინიშნა, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვებისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, არის თუ არა პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მიერ დარღვეული ადამიანის (ადამიანების) უფლებები, თავისუფლებები და კანონიერი ინტერესები (?!).

ამასთან დაკავშირებით, მოვიყვან მხოლოდ ერთი საკასაციო საჩივრის მაგალითს ადმინისტრაციულ საქმეზე (თუმცა სხვა მრავალი მაგალითის მოყვანაც შეიძლება), რომელ საქმეზეც აშკარად კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – გადაწყვეტილება იქნა მიღებული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ.

აღნიშნული გადაწყვეტილება ფაქტობრივად განუხილველად (უფრო ზუსტად კი, ფორმალური და ზედაპირული “განხილვის” შედეგად) ძალაში დატოვა მეორე ინსტანციის სასამართლომ, რომლის მოსამართლემ ის ელემენტარული ანბანური ჭეშმარიტება და კანონის მოთხოვნაც კი არ გაითვალისწინა, რომ “არ შეიძლება კანონს მიეცეს უკუქცევითი ძალა, თუ იგი ზიანის მომტანია და აუარესებს პირის მდგომარეობას” [11, მუხლი 6].

მეორე ინსტანციის სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების შედეგად კიდევ ერთხელ შეილახა პიროვნების კანონიერი უფლებები და ძალიან მნიშვნელოვანი – ფაქტობრივად სასიცოცხლო – ინტერესები, რაც მოსამართლის მხრიდან ასევე კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – ქმედება იყო.

შემდეგ უკვე, აღნიშნული საქმე – საკასაციო საჩივარი – დაშვებულიც კი არ იქნა განსახილველად უზენაეს სასამართლოში, რითაც უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ ასევე დანაშაულებრივი ქმედება ჩაიდინა, რამეთუ მესამე ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეები, რომლებმაც 2012 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით უარი თქვეს აღნიშნული საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვებაზე, ამით პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეებთან ერთად თანამონაწილენი გახდნენ კასატორის მიმართ მოწინააღმდეგე მხარის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებებისა, რაზედაც ამ მოსამართლეებს სათანადო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ, თუმცა მათ ამჟამადაც მოსამართლეების თანამდებობები უკავიათ (?!).

რაც შეეხება კონკრეტულად საქართველოს უზენაესი სასამართლოს ხსენებულ განჩინებას, მის სამოტივაციო ნაწილში აღნიშნულია შემდეგი:

“საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმე არ არის მნიშვნელოვანი სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის...”, რის შედეგადაც კასატორს უარი ეთქვა საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვებაზე (?!).

ამრიგად, უზენაესი სასამართლოს კონკრეტულმა მოსამართლეებმა გადაწყვეტილება მიიღეს მოქმედი ანტიისოციალური, ანტიზნეობრივი, ანტიჰუმანური კანონის შესაბამისად, რის გამოც მათთან თითქოსდა პრეტენზია არ უნდა გვქონდეს, მაგრამ, *ჯერ-ერთი*, მოსამართლეებს კარგად უნდა ახსოვდეთ, რომ, უპირველეს ყოვლისა, ისინი უნდა ემსახურებოდნენ ადამიანის უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, და, *მეორეც*, არსებულ – რადიკალურად შესაცვლელ – კანონმდებლობაზე დაყრდნობითაც კი, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად მოსამართლე ვალდებულია გაითვალისწინოს სწორედ ადამიანის უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის აუცილებლობა.

წინააღმდეგ შემთხვევაში, არა მარტო არ იქნება დაცული ადამიანის უფლებები, თავისუფლებები და კანონიერი ინტერესები, არამედ ადამიანი – *კანონსაწინააღმდეგოდ*

“დაკანონებული” კანონის “საფუძველზე – სასამართლოს “შეეწირება”, და სამართლის განვითარებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იქნება, რამეთუ, *ჯერ-ერთი*, სასამართლო არსებობს ადამიანისათვის, და არა ადამიანი – სასამართლოსათვის, და, *მეორეც*, ადამიანის უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების შელახვის გზით (*რაც უდავოდ სახეზეა*), სამართალი ვერ განვითარდება.

მაშასადამე, უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვებაზე უარის თქმა ვითომდა იმ “მიზეზით”, რომ მოცემული საქმე თითქოს “არ არის მნიშვნელოვანი სამართლის განვითარებისათვის”, “ერთი შეხედვით” შეიძლება ვინმეს “კანონიერად” “მოეჩვენოს” (?!), მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს ადამიანის უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების შელახვას, მოსამართლეთა მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობაზე უარის თქმა – ამკარა დანაშაულია (!).

ლიტერატურა

1. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი. 1999 წლის 23 ივლისი. №2352-რს. http://tcc.gov.ge/uploads/kanonmdebloba/saproceso_kodeqsi_administraciuli.pdf
2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. 1997 წლის 14 ნოემბერი. №1106-ის. http://tcc.gov.ge/uploads/kanonmdebloba/samoqalaqo_saproceso_kodeqsi.pdf
3. კურატაშვილი ალფრედი. მიზნის ფილოსოფია – საშუალებათა ფილოსოფიის ალტერნატივა (მონოგრაფია ქართულ და რუსულ ენებზე). თბილისი: “მეცნიერება”, 1997.
4. კურატაშვილი ალფრედი. სოციალური მიზნის ფილოსოფია. *პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება – ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფორმირებისა და ფუნქციონირების ამოსავალი თეორიული საფუძველი* (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2003.
5. კურატაშვილი ალფრედ. ხალხის ინტერესების დიქტატურის თეორია. *ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განმსაზღვრელი მეცნიერული მიმართულება* (მონოგრაფია ქართულ და რუსულ ენებზე). თბილისი: „მეცნიერება“, 1997.
6. კურატაშვილი ალფრედ. ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია. *პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება და მმართველობითი სამართლის, ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების სამართლებრივი სისტემისა და მთლიანად სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემაქმნადი თეორია* (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003.
7. См. Голованов Я. К. *Этюды об ученых*. 3-е издание, дополненное. Москва: «Молодая гвардия», 1983.
8. კურატაშვილი ალფრედ. თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირება – საზოგადოების ეფექტიანი ფუნქციონირების პოლიტიკურ-სამართლებრივი თეორია (მონოგრაფია ქართულ და რუსულ ენებზე). თბილისი: „მეცნიერება“, 1997.
9. კურატაშვილი ალფრედ. თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია. *პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება – ადამიანის ინტერესების დაცვისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის აუცილებელი მეცნიერული საფუძველი* (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003.
10. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. 1999 წლის 22 ივლისი. №2287 რს http://tcc.gov.ge/uploads/kanonebi/sisxlis_samartlis_kodeqsi.pdf
11. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 1997 წლის 26 ივნისი. №786-ის http://tcc.gov.ge/uploads/kanonebi/samoqalaqo_kodeqsi.pdf

შპპ 1+32+33+34+35

ალფრედ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო)

ეკონომიკურ, ფილოსოფიურ და იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი საზოგადოებრივ მეცნიერებებში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი საჯარო სამართალში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ეკონომიკური თეორიის განყოფილების გამგე, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ “პროგრესი“-ს და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ “იურისპრუდენციის პრობლემები“-ს დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი, სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, პოლიტიკური მენეჯმენტის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი და იურიდიულ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აშშ პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სანკტ-პეტერბურგის კულტურის ისტორიის საზოგადოებრივი აკადემიის ნამდვილი წევრი, ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი

**მოსამართლის მიერ
კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების
მიღებისათვის
სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის
არარსებობა –
დანაშაულებრივად “დაკანონებული” უკანონობაა,
ხოლო მოსამართლის მიერ კანონსაწინააღმდეგო
გადაწყვეტილების მიღებისათვის და სამართლ
კრიმინალური ქმედებისათვის
დისციპლინური პასუხისმგებლობის
არსებობა და, მით უმეტეს, არავითარი
პასუხისმგებლობის არარსებობა –
დანაშაულებრივად “დაკანონებულ”
უკანონობასთან ერთად
სამართლისა და სამართლიანობის
დაცინვას წარმოადგენს (!)**

კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის კანონმდებლობით და პრაქტიკულად – ორგანიზაციულად – უზრუნველყოფის გარეშე გამორიცხულია საზოგადოებაში და სახელმწიფოში სამართლიანობის და, მაშასადამე, ადამიანის ადამიანური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის არსებობა.

უფრო მეტიც, ცალკეული ადამიანების – სახელმწიფოებრივი თანამდებობის პირების – მიმართ კანონსაწინააღმდეგოდ “დაკანონებული” დანაშაულებრივი “პრივილეგიები”, რაც გამოიხატება, მაგალითად, კონსტიტუციით და სხვა სამართლებრივი აქტებით – კერძოდ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით – მოსამართლეთა მიმართ დანაშაულებრივად “დაკანონებული” ეგრეთ წოდებული “კრიშის” არსებობაში და, შესაბამისად, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის არარსებობაში [1, მუხლი 84, პუნქტი 3; მუხლი 87, პუნქტი პირველი; 2, მუხლი 7, პუნქტი პირველი; მუხლი 40,

პუნქტი პირველი] მათ მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებისათვის და საერთოდ კრიმინალური ქმედებისათვის, ამავე დროს წარმოადგენს კანონის წინაშე ადამიანების უთანასწორობის დანაშაულებრივად “დაკანონებას” და მილიონობით ჩვეულებრივი ადამიანის – *სახელმწიფოებრივი თანამდებობის არმქონე პირების* – აშკარა დისკრიმინაციას, ანუ უდავოდ წარმოადგენს დანაშაულებრივად “დაკანონებულ” უკანონობას.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-7 მუხლის თანახმად:

“ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და, განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, ყველას აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული კანონის მიერ. ყველა ადამიანს აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან და ასეთი დისკრიმინაციის ყოველგვარი წაქეზებისაგან” [3, მუხლი 7];

და აგრეთვე, მიუხედავად იმისა, რომ კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობა დაფიქსირებულია სახელმწიფოთა კონსტიტუციებში, კერძოდ, მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად: “ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა” [1, მუხლი 14], *არცთუ იშვიათად*, საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში და სახელმწიფოთა კონსტიტუციებში ასახული ჭეშმარიტად სამართლიანი და სამართლებრივი ნორმების საწინააღმდეგოდ, – თვითონ სახელმწიფოთა კონსტიტუციებში ჩადებული და დაფიქსირებულია კონსტიტუციის არსის, პრინციპებისა და დანიშნულების რადიკალურად საწინააღმდეგო – *თავისი არსით ანტიკონსტიტუციური და სრულიად უსამართლო* – აშკარად დანაშაულებრივი ვითომდა “სამართლებრივი” “ნორმები”, რითაც “ფეხქვეშ” არის გათელილი კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი, და რითაც “დაკანონებულია” მრავალი ადამიანის – მილიონობით ადამიანის – დისკრიმინაცია (?!).

ამასთანავე, ეს ხდება მიუხედავად იმისა, რომ როგორც საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით, ისე სახელმწიფოთა კონსტიტუციებით საყოველთაოდ აკრძალულია დისკრიმინაცია, რაც ასახულია აგრეთვე “ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციაში” (რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი), რომლის მე-14 მუხლში – „დისკრიმინაციის აკრძალვა” – ვკითხულობთ:

„ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, ...“ [4].

მაშასადამე, სრულიად უდავოა, რომ მოსამართლის (მოსამართლეთა) მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებისათვის, ანუ მის (მათ) მიერ

სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების გადამეტებისათვის და სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის არარსებობა – დანაშაულებრივად “დაკანონებული” უკანონობაა, რომლის, როგორც რადიკალურ კრიტიკას, ისე დაუყონებლივ დაძლევის აუცილებლობას და ამ დაძლევის სამართლებრივ მექანიზმებს ჩემს მიერ მრავალი სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა [5; და სხვა*].

* * *

რაც შეეხება მოსამართლის მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებისათვის ან სხვა დანაშაულებრივი ქმედებისათვის თითქოსდა დისციპლინური პასუხისმგებლობის არსებობას და, *მით უმეტეს*, არავითარი პასუხისმგებლობის საერთოდ არარსებობას – ეს რეალური ფაქტი დანაშაულებრივად “დაკანონებულ” უკანონობასთან ერთად სამართლისა და სამართლიანობის აბუჩად აგდებას და დაცინვას წარმოადგენს (!)

კერძოდ, როგორც ცნობილია, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით (მუხლი 2. მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი და დისციპლინური გადაცდომის სახეები): „1. საერთო სასამართლოს მოსამართლეს დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი“ [6, მუხლი 2, პუნქტი პირველი].

ამასთან, საერთო სასამართლოს მოსამართლეს დისციპლინური გადაცდომისათვის ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, თუ მისი მხრიდან დარღვევა „არ იწვევს სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას“ [6, მუხლი 2, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ბ“].

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ერთი შეხედვით აქ ყველაფერი ლოგიკურია, რამეთუ ის ფაქტი, რომ დისციპლინური გადაცდომისათვის საერთო სასამართლოს მოსამართლეს ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა – სადავო არ არის.

* იხილეთ, *მაგალითად*, აქვე:

კურატაშვილი ალფრედ. მოსამართლეთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების “წახალისების” “სამართლებრივი” “საფუძველია” – დანაშაულებრივი კანონმდებლობა, რომლითაც აკრძალულია კრიმინალი მოსამართლეების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემა (!). რა არის მოსამართლის მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება, თუ არა კრიმინალური ქმედება – თუ არა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება?! (გვ. 11-22).

კურატაშვილი ალფრედ. მოსამართლეთა ლუსტრაცია და კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიმღებ მოსამართლეთა სასამართლო სისტემიდან “მოკვეთა” – სახელმწიფოში სამართლიანობის მიღწევისა და დამკვიდრების უპირველესი და აუცილებელი პირობაა!!! (გვ. 23-28); <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/162012> და სხვა.

ასევე სადავო არ არის სამართლის ნორმა, რომლის თანახმად მოსამართლეს უნდა ეკისრებოდეს დისციპლინური პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუ დისციპლინური გადაცდომა „არ იწვევს სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას“.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, *მოსამართლის პასუხისმგებლობის პრობლემასთან დაკავშირებით*, საგანგაშო უკანონობა მდგომარეობს იმაში, რომ „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში [6, მუხლი 2, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ბ“], და *საერთოდ სასამართლო სისტემაში*, საქმე გვაქვს იმ „დაკანონებულ“ კრიმინალთან, რომ მოსამართლის მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება – *მის მიერ სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების გადაშეშება და სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, რაც სისხლისსამართლებრივად დასჯად დანაშაულს წარმოადგენს* (უნდა წარმოადგენდეს კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის არსებობის პირობებში) – არა მარტო სისხლის სამართლის დანაშაულად არ ითვლება, არამედ ზოგ შემთხვევაში სისხლის სამართლის დანაშაულს არსებული „კანონმდებლობის“ თანახმად თითქოსდა დისციპლინურ გადაცდომად თვლიან და ამავე დროს დისციპლინურ გადაცდომადაც კი არ თვლიან, რაც დანაშაულებრივად „დაკანონებულ“ უკანონობასთან ერთად უდავოდ წარმოადგენს სამართლისა და სამართლიანობის დაცინვას (?!).

კერძოდ, *ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ* „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის („დისციპლინური გადაცდომის სახეები“) „ბ“ ქვეპუნქტი, *რომლის მხოლოდ ნაწილი იქნა ჩემს მიერ ზემოთ მოყვანილი*, მთლიანად ფორმულირებულია შემდეგნაირად:

„ბ) კორუფციული სამართალდარღვევა ან თანამდებობრივი მდგომარეობის მართლმსაჯულებისა და სამსახურებრივი ინტერესების საზიანოდ გამოყენება. კორუფციულ სამართალდარღვევად ჩაითვლება „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დარღვევა, თუ იგი არ იწვევს სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას“ [6, მუხლი 2, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ბ“].

ამრიგად, *ჯერ-ერთი*, მოსამართლის მხრიდან „კორუფციული სამართალდარღვევა ან თანამდებობრივი მდგომარეობის მართლმსაჯულებისა და სამსახურებრივი ინტერესების საზიანოდ გამოყენება“, რაც უდავოდ სისხლისსამართლებრივად დასჯად დანაშაულს – *მოსამართლის მხრიდან სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების გადაშეშებისა და სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების აშკარა ფაქტს* – წარმოადგენს, სრულიად უსაფუძვლოდ და დანაშაულებრივად

„მიეკუთვნება“ კანონსაწინააღმდეგოდ „დაკანონებულ“ დისციპლინური გადაცდომის სახეებს (?!).

მეორეც, თუმცა უდავოა, რომ „კორუფციული სამართალდარღვევა“ დანაშაულებრივ ქმედებას წარმოადგენს, მაგრამ მასზე – *ძის ვითომდა „ასახსნელად“* – ხელოვნურად არის „მიწებებული“ „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დარღვევა [7, მუხლი 3], რაც სრულიად უსაფუძვლო და ალოგიკურია, რამეთუ კორუფციული სამართალდარღვევა ნებისმიერ შემთხვევაში არის დანაშაულებრივი ქმედება, მიუხედავად იმისა, თუ რა მიზანს ემსახურება ეს აშკარად სისხლის სამართლის დანაშაული.

და, მესამეც, „თანამდებობრივი მდგომარეობის მართლმსაჯულებისა და სამსახურებრივი ინტერესების საზიანოდ გამოყენება“ აშკარად წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს – *წარმოადგენს სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების გადამეტებას და სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას*, რის გამოც სრულიად დაუშვებელია, რომ ეს კრიმინალური ქმედება მიეკუთვნებოდეს ვითომდა დისციპლინური გადაცდომის სახეებს, და რომ ეს სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედება – არანაირ, *მათ შორის, დისციპლინურ პასუხისმგებლობასაც კი არ ექვემდებარებოდეს, რაც, როგორც არაერთხელ აღინიშნა ჩემს მიერ, დანაშაულებრივად „დაკანონებულ“ უკანონობასთან ერთად სამართლისა და სამართლიანობის აბურად აგდებას და დაცინვას წარმოადგენს (?!).*

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის პასუხისმგებლობის არარსებობის კანონსაწინააღმდეგოდ „დაკანონების“ კიდევ ერთ უტყუარ ფაქტს წარმოადგენს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად:

„3. კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა“ [6, მუხლი 2, პუნქტი 3].

გასაკვირია, მაგრამ ფაქტია (?!).

ეს ხომ სრულიად უსაფუძვლოდ – თუმცა *„მიზანდასახულად“* (?) – და კანონსაწინააღმდეგოდ „დაკანონებული“ უკანონობაა (?!).

ეს ხომ კრიმინალ მოსამართლეთათვის პასუხისმგებლობის ასაცილებლად „შექმნილი“ და საოცარად „ჩახუჭუჭებული“ კიდევ ერთი უსაფუძვლო და დანაშაულებრივი – ვითომდა „სამართლებრივი“ „ნორმა“, რომელსაც სამართალთან და სამართლიანობასთან არაფერი საერთო არა აქვს (?!).

კერძოდ, ზემოთ ციტირებული ვითომდა „სამართლებრივი“ „ნორმის“ [6, მუხლი 2, პუნქტი 3] პასუხად კატეგორიულად უნდა აღვნიშნო შემდეგი:

გერ-ერთი, მოსამართლის მიერ კანონის არასწორი განმარტება იწვევს მის მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებას, რის გამოც მას ნამდვილად არ უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა, რამეთუ ეს არ წარმოადგენს მისი მხრიდან დისციპლინურ გადაცდომას, თუმცა ეს არ უნდა ათავისუფლებდეს მოსამართლეს პასუხისმგებლობისაგან.

უფრო მეტიც, ასეთ მოსამართლეს უნდა დაეკისროს (უნდა ეკისრებოდეს) სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მის მიერ სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების გადამეტებისა და სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის, რადგან მისი მხრიდან ეს ქმედება უდავოდ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივად დასჯად დანაშაულს [8, მუხლი 332, 333].

მეორეც, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც თუნდაც საფუძვლად უდევს მოსამართლის „შინაგანი რწმენა“, და ამ „რწმენის“ საფუძველზე მის მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება – ასევე წარმოადგენს იმის უტყუარ მტკიცებულებას, რომ აღნიშნული მოსამართლე არის სისხლის სამართლის დამნაშავე, და რომ მისი „შინაგანი რწმენა“ ვერ გაამართლებს დანაშაულებრივ ქმედებას, რამეთუ მოსამართლის „შინაგანი რწმენა“ – ეს არ ნიშნავს მოსამართლის ტვინში უსაფუძვლოდ „შობილ“ კანონსაწინააღმდეგო ვითომდა „მოსაზრებას“ ან მის ტვინში „შეფრენილ“ რაღაცა „ოფოფებს“.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა მოსამართლის შინაგანი რწმენა მნიშვნელოვანია და გასათვალისწინებელია, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს „რწმენა“ სამართლებრივად არის დასაბუთებული, ანუ – მხოლოდ კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების ფარგლებში [2, მუხლი 7, პუნქტი პირველი], რადგან მოსამართლის დამოუკიდებლობა და მისი „შინაგანი რწმენა“ არ ნიშნავს და არც შეიძლება ნიშნავდეს კანონისგან მის დამოუკიდებლობას.

ხოლო ის „სამართლებრივი“ „ნორმა“, რომლის თანახმად: „არავის არა აქვს უფლება, მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე“ [2, მუხლი 7, პუნქტი პირველი], არა მარტო კანონიდან ამოსაღებია, რასაც მე მრავალჯერ აღენიშნავდი და ვასაბუთებდი ჩემს სამეცნიერო შრომებში*, არამედ ასევე საყოველთაოდ დასაგმობია, რამეთუ ეს წარმოადგენს მოსამართლისათვის უპასუხისმგებლობის კანონსაწინააღმდეგოდ „დაკანონების“ და მისი „გაღმერთების“ კიდევ ერთ უტყუარ ფაქტს (?!).

* იხილეთ, მაგალითად, აქვე:

კურატაშვილი ალფრედ. მოსამართლეთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების „წახალისების“ „სამართლებრივი“ „საფუძველია“ – დანაშაულებრივი კანონმდებლობა, რომლითაც აკრძალულია კრიმინალი მოსამართლეების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემა (?!). რა არის მოსამართლის მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება, თუ არა კრიმინალური ქმედება – თუ არა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება?! (გვ. 11-22).

ამრიგად, მოსამართლის მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებისათვის – მის მიერ სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების გადამეტებისა და სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის – სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არარსებობის პირობებში, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი [6] წარმოადგენს ერთადერთ კანონს, რომელიც ვითომდა აწესებს მოსამართლეთა დისციპლინურ პასუხისმგებლობას მათ მიერ დისციპლინური გადაცდომისათვის.

ამასთანავე, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი, *ჯერ-ერთი*, არ წყვეტს, და ვერც გადაწყვეტს, კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებისათვის მოსამართლეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემას.

და, *მეორეც*, სრულიად უდავოა, რომ მოსამართლეთა მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებისათვის – *კრიმინალური ქმედებისათვის* – დისციპლინური პასუხისმგებლობის არარსებობის პირობებში, სისხლის სამართლის დანაშაულის სრულიად უსაფუძვლოდ დისციპლინური გადაცდომის სახეებთან მიკუთვნება [6, მუხლი 2, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ბ“], და, *ამავე დროს, როგორც უკვე აღინიშნა*, დისციპლინური პასუხისმგებლობის რეალურად არარსებობა და, *მით უმეტეს*, არავითარი პასუხისმგებლობის არარსებობა – დანაშაულებრივად “დაკანონებულ” უკანონობასთან ერთად სამართლისა და სამართლიანობის დაცინვას წარმოადგენს (!!).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სისტემატურად ისმის სასამართლო სისტემის და მოსამართლეთა მიმართ გააფთრებული კრიტიკა, მაგრამ ყველა ლაპარაკობს მხოლოდ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის აუცილებლობაზე, რაც უდავოდ მნიშვნელოვანია, თუმცა ეს პრობლემას ვერ გადაწყვეტს.

ამიტომ, დამოუკიდებლობასთან და უფლებებთან ერთად მოსამართლეებს უნდა გააჩნდეთ ამ უფლებებთან კანონით დაბალანსებული პასუხისმგებლობა, რამეთუ მოსამართლეთა უფლებებს, სათანადო პასუხისმგებლობის არსებობის გარეშე, მოაქვს მათი მხრიდან კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ბატონობა, რის მოწმენიც არცთუ იშვიათად ვხვდებით.

მაშასადამე, მოსამართლეთა უფლებებთან დაბალანსებული მათი პასუხისმგებლობის გარეშე – სასამართლო სისტემა სამართლიანობისა და ხალხის სამსახურში ვერ ჩადგება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ დასტურდება ჩემს მიერ შექმნილი – თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის [9] საფუძველზე, მოსამართლეების მიმართ შესაბამისი სამართლებრივი პასუხისმგებლობის მექანიზმების ამოქმედების, და აგრეთვე ახალი სამართლებრივი მექანიზმების შექმნის და დანერგვის აუცილებლობა სახელმწიფოთა კონსტიტუციებისა და სხვა სამართლებრივი აქტების, *მათ შორის*, სისხლის სამართლის კოდექსის დონეზე.

დაბოლოს, სამართლიანი, კომპეტენტური და პრინციპული მოსამართლეებისაგან განსხვავებით, რომელთა მიმართ მე გამოვხატავ დიდ პატივისცემას, ზოგიერთ კრიმინალ მოსამართლეს, რომელსაც უვიცობის თუ სხვა „მიზეზების“ გამო მის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული აქვს კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – გადაწყვეტილებები, ჩემი სამეცნიერო ნაშრომების გაცნობა უდავოდ „გაალიზიანებს“, და თუ მას სასამართლოში განსახილველად ხელში „ჩაუვარდება“ ჩემი სარჩელი, ყოველმხრივ შეეცდება კიდევ ერთი კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – გადაწყვეტილების მიღებას, რაც – ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში – დააჩქარებს მის „აღსასრულს“ სასამართლო სისტემაში, რამეთუ ნებისმიერი ასეთი მოსამართლე ჩემს მიერ უკვე კონკრეტულად და საჯაროდ იქნება მხილებული.

ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია. მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს.
<http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68>
2. საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ. 2009 წლის 4 დეკემბერი. № 2257 – III.
http://tcc.gov.ge/uploads/kanonebi/saerto_sasamartloebis_sesaxeb_saqartvelo_kanoni.pdf
3. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. დამტკიცებული და საჯაროდ გამოცხადებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს. თბილისი: გამომცემლობა „სამშობლო“, 1992.
http://www.parliament.ge/files/stajireba_2012/kanonebi/1948-adamianis-uflebata-sayoveltao-deklaracia.doc
4. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია. რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი.
<http://www.parliament.ge/files/international-acts/conventions/3250-Is-09-06-2006.doc>
5. კურატაშვილი ალფრედ. მოსამართლეთა უფლებებთან დაბალანსებული მათი პასუხისმგებლობის გარეშე – სახელმწიფოში სამართლიანობის დამკვიდრება ცარიელ – ცრუ – ლოზუნგად დარჩება (!). სახელმწიფო მართვა: პრობლემები და პერსპექტივები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები (15.11.2015). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2015. გვ. 3-12.
http://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/162161/1/State_Management_Problems_%20And_Prospects_2015_N24.pdf
6. საქართველოს კანონი საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ. 2000 წლის 23 თებერვალი. №150-III
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16774>
7. საქართველოს კანონი საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ. 1997 წლის 17 ოქტომბერი. №982-IV
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/33550>
8. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. 1999 წლის 22 ივლისი. №2287 რს.
http://tcc.gov.ge/uploads/kanonebi/sixxlis_samartlis_kodeqsi.pdf
9. კურატაშვილი ალფრედ. თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია. პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება – ადამიანის ინტერესების დაცვისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის აუცილებელი მეცნიერული საფუძველი (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003.

შპპ 1+32+33+34+35

ალფრედ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო)

ეკონომიკურ, ფილოსოფიურ და იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი საზოგადოებრივ მეცნიერებებში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი საჯარო სამართალში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ეკონომიკური თეორიის განყოფილების გამგე, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ “პროგრესი“-ს და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ “იურისპრუდენციის პრობლემები“-ს დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი, სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, პოლიტიკური მენეჯმენტის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი და იურიდიულ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აშშ პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სანკტ-პეტერბურგის კულტურის ისტორიის საზოგადოებრივი აკადემიის ნამდვილი წევრი, ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი

**მოსამართლეთა მიერ
უპიცობით ჩადენილი დანაშაული,
თუ მიზანდასახულად
განხორციელებული
კრიმინალური ქმედება?!**

**ნუთუ არ უნდა ესმოდეს ყველა მოსამართლეს,
რომ კანონსაწინააღმდეგო
გადაწყვეტილების მიღება – დანაშაულია?!**

გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ მოსამართლის (მოსამართლეთა) მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის არარასებობის – სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის კანონმდებლობით “დაბლოკვის” – პირობებში, ზოგიერთი მოსამართლის (ზოგიერთ მოსამართლეთა) მიერ უპიცობით ჩადენილი დანაშაულის, თუ მიზანდასახულად განხორციელებული კრიმინალური ქმედებების გამო, რაც გამოიხატება მოსამართლის (მოსამართლეთა) მიერ სწორედ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღებაში, იბულებული ვარ კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნო იმ ელემენტარული აუცილებლობის შესახებ, რომლის თანახმად მოსამართლის (მოსამართლეთა) მიერ გადაწყვეტილების მიღება ნებისმიერ განხილულ საქმეზე უნდა ხდებოდეს სახელმწიფოს კონსტიტუციისა და სხვა შესაბამისი კანონების საფუძველზე, და არა მოსამართლის (მოსამართლეთა) “საკუთარ” (ანდა “სხვა პირთა”) კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივ – “მოსაზრებებზე” დაყრდნობით.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, არსებობს არაერთი უტყუარი ფაქტი, როდესაც საერთო სასამართლოს მოსამართლეები (თანაც, სასამართლოს არა მხოლოდ ერთ, არამედ ზოგჯერ სამივე ინსტანციაშიც კი) იღებენ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს, რაც მათ მიერ ჩადენილი სისხლის

სამართლის დანაშაულის – სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების გადაშეცემის და სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების – დამადასტურებელ უდავო მტკიცებულებას წარმოადგენს [1, მუხლი 332, 333].

ამ შემთხვევაში, მაგალითისათვის, მოკლედ შევჩერდები მხოლოდ ერთ სასარჩელო საქმეზე (თუმცა აქ ჯერ არ დავასახელებ კონკრეტულ მოსამართლეებს, რისი გაკეთებაც სხვა საქმეებზე ჩემს მიერ მხილებულ კრიმინალ მოსამართლეებთან ერთად მომავალში მოხდება საჭირო დროს და საჭირო ადვილას, რათა ისინი დაუსჯელნი არ დარჩნენ), რომელზეც სასამართლოს სამივე ინსტანციაში მოსამართლეებს მიღებული აქვთ კანონსაწინააღმდეგო – უდავოდ და აშკარად დანაშაულებრივი – გადაწყვეტილებები (?!).

კერძოდ, უდავოდ დანაშაულებრივი გადაწყვეტილება იქნა მიღებული პირველი ინსტანციის ერთ-ერთი რაიონული სასამართლოს მოსამართლის მიერ საერთაშორისო დონეზე ცნობილი მეცნიერის – პროფესორის – მიმართ 2011 წლის 04 აგვისტოს გადაწყვეტილებით №3/106-11 ადმინისტრაციულ საქმეზე, როდესაც მოსამართლემ ფაქტობრივად „იხელმძღვანელა“ მოპასუხის წარმომადგენლის „ჭკუით“ და „კარნახით“ – მისი თაღლითური ვითომდა „არგუმენტებით“ (და/ან, შესაძლოა, რომ ასევე „იმოქმედა“ სხვა – „უხილაგმა ძალაძ“), რომლის „საფუძველზეც“ მან კანონსაწინააღმდეგოდ – აშკარად დანაშაულებრივად – უკუქცევითი ძალა „მისცა“ კანონს, რითაც ამ მოსამართლემ უხეშად შელახა მოსარჩელის კანონიერი უფლებები, უკიდურესად გააურესა მოსარჩელის მდგომარეობა და დიდი ზიანი მიაყენა მას (?!).

აღნიშნული გადაწყვეტილებით მოსამართლემ მხარი დაუჭირა კრიმინალებს, „გაამართლა“ მოპასუხის მიერ ჩადენილი კრიმინალური ქმედებები და მოპასუხის მხრიდან მოსარჩელის მიმართ განხორციელებული ტრეფიკინგი, რომელიც წარმოადგენს ექსპლუატაციისა და „მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენების მიზნით“ [1, მუხლი 143¹ – „შენიშვნა“] განხორციელებულ „ახალ“ – „შენიღბულ მეთოდს“, რითაც ამ მოსამართლემ „გაამართლა“ მოპასუხის მხრიდან მოსარჩელის ძარცვა და დაყაჩაღება (თანაც დაყაჩაღება – ათიათასობით ლარის ოდენობით), რომელიც მოპასუხემ განხორციელა სწორედ „ახალი“ – თითქოსდა „შენიღბული მეთოდის“ გამოყენებით, და რითაც ეს მოსამართლე ფაქტობრივად მოსარჩელის მიმართ განხორციელებული ტრეფიკინგის თანამონაწილე გახდა (?!).

ამასთან დაკავშირებით მე ადრეც არაერთხელ აღვნიშნავდი [იხილეთ, მაგალითად: 2, გვ. 3-32; 3, გვ. 44-58; და სხვა], რომ მოსამართლის მხრიდან ყოვლად დაუშვებელ კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივ – ქმედებას წარმოადგენს კანონისათვის უკუქცევითი ძალის მიცემა, მაშინ როდესაც აღნიშნული ქმედება იწვევს ადამიანის მიმართ ტრეფიკინგის განხორციელებას და მის მიმართ ახალი კანონის მიღებამდე განხორციელებული ტრეფიკინგის

მხარდაჭერას, რამეთუ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლის – “სამოქალაქო კანონთა უკუქცევითი ძალა” – თანახმად: “კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული. არ შეიძლება კანონს მიეცეს უკუქცევითი ძალა, თუ იგი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას” [4, მუხლი 6].

მეორე (სააპელაციო) ინსტანციის სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლემ, *პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების შემდეგ, სრულიად უსაფუძვლოდ (ფაქტობრივად საქმის რეალური განხილვის გარეშე) „გაითვალისწინა“ მოპასუხის წარმომადგენლის კანონსაწინააღმდეგო (თალღითური) ვითომდა „არგუმენტები“, მისი უაზრო – სრულიად უსაფუძვლო – ეგრეთ წოდებული „მოსაზრებები“ და „სურვილი“ (!), და 2011 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით (საქმე №3ბ/1646-11) ასევე კანონსაწინააღმდეგოდ – დანაშაულებრივად – ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს კრიმინალური გადაწყვეტილება, რითაც ეს მოსამართლე, ისევე, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე, ფაქტობრივად მოსარჩელის – აპელანტის – მიმართ განხორციელებული ტრეფიკინგის უშუალო თანამონაწილე გახდა (!).*

რაც შეეხება მესამე – საკასაციო – ინსტანციის სასამართლოს, უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლეებმა 2012 წლის 29 თებერვლის განჩინებით (საქმე №ბს-8-8 (კ-12)) სრულიად უსაფუძვლოდ და კანონსაწინააღმდეგოდ – დანაშაულებრივად – უარი თქვეს საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვებაზე, რითაც ეს მოსამართლეებიც, ისევე, როგორც პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეები, ფაქტობრივად მოსარჩელის – კასატორის – მიმართ განხორციელებული ტრეფიკინგის თანამონაწილენი გახდნენ (!).

ამ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მოსამართლეთა მიერ საჩივრის განსახილველად დაშვებაზე უარის თქმის ვითომდა „საფუძვლად“ „ტრადიციულად“ „ჩაითვალა“ ის, რომ თითქოს „საკასაციო საჩივარი, – როგორც განჩინებაშია აღნიშნული, – არ აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს“ (!).

კერძოდ: „საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმე არ არის მნიშვნელოვანი სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის“ (!).

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით აქ ლოგიკურად ისმის კითხვა: სასამართლო არსებობს ადამიანისათვის, თუ ადამიანი არსებობს სასამართლოსათვის?!

უფრო ზუსტად კი, კითხვა შეიძლება დაისვას შემდეგნაირად: სასამართლო არსებობს ადამიანის (ადამიანების) უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის და ემსახურება მას – როგორც მიზანს, თუ ადამიანი (ხალხი) არსებობს როგორც საშუალება – სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის“?!

ვფიქრობ, რომ ნებისმიერი გონიერი ადამიანისათვის პასუხი დასმულ კითხვებზე ნათელია, რამეთუ სასამართლო არის (*უნდა იყოს*) არა თვითმიზანი, არამედ ყოველი ადამიანის უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის საშუალება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებით [5, მუხლი 34, ნაწილი მე-3] მართლაც გათვალისწინებულია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დაშვება შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ საჩივრის განხილვა ვითომდა “სჭირდება” თვითონ სასამართლოს თავისი “განვითარებისათვის”* (?!), რაც კანონსაწინააღმდეგოდ “დაკანონებულ” “სამართლებრივ ნორმას” წარმოადგენს**, თუმცა, *მიუხედავად ამისა*, ეს “სამართლებრივი ნორმა”, *ერთი შეხედვით*, თითქოსდა საკასაციო დასაშვებობაზე უარის თქმის „სამართლებრივი“ „საფუძველია“ (?!).

ამასთანავე, მიუხედავად ზემოაღნიშნული კანონსაწინააღმდეგოდ “დაკანონებული” “სამართლებრივი ნორმის” არსებობისა, *რომელიც უდავოდ რადიკალურ შეცვლას მოითხოვს***, საკასაციო სასამართლო ასევე კანონის თანახმად მინც ვალდებული იყო უარი არ ეთქვა ხსენებული საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვებაზე, რამეთუ:

ჯერ-ერთი, სასამართლო არსებობს ადამიანისათვის – ადამიანის (ადამიანების) უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის – და არა პირიქით, ხოლო განხილული საქმის შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მოსარჩელის (აპელანტის, კასატორის) უფლებებისა და ინტერესების არა მარტო შელახვას, არამედ დანაშაულებრივად გათელვას, ადგილი ჰქონდა მის მიმართ განხორციელებულ ტრეფიკინგს, თანაც ჯერ მოპასუხის (მოწინააღმდეგე მხარის) და შემდეგ კი უკვე პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეთა მხრიდან – *მოპასუხისათვის მათ მიერ დანაშაულებრივი მხარდაჭერის გზით*, რომლებსაც მესამე ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეებიც „შეუერთდნენ“ (?!).

* ანდა თუ სააპელაციო სასამართლოში ადგილი ჰქონდა პროცედურულ დარღვევებს.

** აღნიშნული კანონსაწინააღმდეგოდ “დაკანონებული” “სამართლებრივი ნორმის” მეცნიერულად დასაბუთებული კრიტიკა და ამ პრობლემის გადაჭრის ჩემს მიერ შემოთავაზებული სამართლებრივი მექანიზმები იხილეთ აქვე:

აღფრედ კურატაშვილი. ადამიანის უფლებები და საკასაციო საჩივრის დასაშვებობის კანონსაწინააღმდეგოდ “დაკანონებული” სამართლებრივი პრობლემა (?!). *რა არის და რა უნდა იყოს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის განმსაზღვრელი კრიტერიუმი?! (გვ. 29-36).*

და, მეორეც, „სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის“ წარმოუდგენელია, რომ საკასაციო სასამართლოში უფრო მნიშვნელოვანი საჩივარი შევიდეს, ვიდრე აქ განხილული საქმე, რადგან სამართლის განვითარება და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება უზენაესი სასამართლოს – და საერთოდ სასამართლო სისტემის – მიერ შეიძლება განხორციელდეს სწორედ ადამიანის უფლებების, თავისუფლებებისა და ინტერესების შელახვის ფაქტების აღმოფხვრის გზით.

ხოლო საკასაციო სასამართლოს მიერ საჩივრის დასაშვებობაზე უარის თქმა ვითომდა იმ „არგუმენტით“, რომ თითქოს „მოცემული საქმე არ არის მნიშვნელოვანი სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის“, მხოლოდ ხელს უშლის – „ბლოკავს“ – სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, რადგან ასეთი ქმედება კიდევ უფრო ამკვიდრებს ზოგიერთი მოსამართლის მხრიდან – კერძოდ კი, უპირველეს ყოვლისა, პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეთა მხრიდან – კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღებით „დაკანონებულ“ ადამიანის (ადამიანების) კანონიერი უფლებებისა და ინტერესების შელახვის მხარდაჭერის კრიმინალურ „ტრადიციას“, რის გამოც მოყვანილი ვითომდა „არგუმენტით“ საკასაციო საჩივრის დასაშვებობაზე უარის თქმა – სრულიად უსაფუძვლო, უაზრო და დანაშაულებრივ ქმედებას წარმოადგენს, რითაც საკასაციო სასამართლოს აღნიშნული მოსამართლეები თავისი კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებებით ასევე ადამიანის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების შელახვის კრიმინალური „ტრადიციის“ მხარდაჭერთა რიგებს „უერთდებიან“.

თუმცა რას არ უნდა ელოდე ზოგიერთი მოსამართლისაგან, მათ მიერ კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – გადაწყვეტილების მიღებისათვის პასუხისმგებლობის არარსებობის პირობებში (!!).

* * *

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ მოსამართლეს, როგორც ჩანს, სამართლებრივ აზროვნებაში (ისევე როგორც საერთოდ ელემენტარულ – მარტივ – ლოგიკურ აზროვნებაში, მიუხედავად მიღებული „განათლებისა“ და მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისა), რბილად რომ ვთქვათ, ალბათ აქვს სერიოზული პრობლემები (!!).

თუმცა, აღსანიშნავია, რომ, *ჩემი ღრმა რწმენით, სამართლებრივი აზროვნება და სამართლებრივი ხედვა მხოლოდ სწავლით არ მიიღწევა, რადგან ეს – განსაკუთრებული თანდაყოლილი ნიჭია!!!*

ამასთანავე, სრულიად წარმოუდგენელია, რომ მოსამართლემ არ იცოდეს (რომ მოსამართლეებმა არ იცოდნენ) ის ელემენტარული სამართლებრივი ნორმა და ვერ ერკვეოდეს იმაში, რომ კანონს არ შეიძლება მიეცეს უკუქცევითი ძალა, თუ ის ზიანის მომტანია და აუარესებს პირის მდგომარეობას [4, მუხლი 6].

უფრო მეტიც, წარმოუდგენელია, რომ მოსამართლემ არ იცოდეს (რომ მოსამართლეებმა არ იცოდნენ) ის სამართლებრივი ნორმა, რომლის თანახმად, თუ კანონისთვის უკუქცევითი ძალის მიცემა ზიანის მომტანია და აუარესებს პირის მდგომარეობას, დაუშვებელია მისთვის უკუქცევითი ძალის მიცემა იმ შემთხვევაშიც კი, თუ კანონისათვის უკუქცევითი ძალის მიცემა თვითონ ამ კანონით არის გათვალისწინებული [4, მუხლი 6]. *თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზემოთ განხილული საქმის შემთხვევაში კანონისათვის უკუქცევითი ძალის მიცემა კანონით გათვალისწინებული არ ყოფილა.*

აქედან გამომდინარე, სრულიად აშკარაა, რომ ზემოაღნიშნულ კონკრეტულ შემთხვევაში, *ჩემი ღრმა რწმენით*, საქმე გვაქვს მოსამართლის (*მოსამართლეთა*) მიერ – არა უვიცობით ჩადენილი დანაშაულის ფაქტებთან, არამედ საქმე გვაქვს მოსამართლის – *მოსამართლეების* – მიერ მიზანდასახულად განხორციელებულ კრიმინალურ ქმედებებთან (?!).

თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, მოსამართლეებს, რომლებსაც განხილულ საქმეებზე მიღებული აქვთ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები, და აგრეთვე რომლებიც მიიღებენ ასეთ გადაწყვეტილებებს, არა მარტო უნდა “აღეკვითოთ” სასამართლო სისტემაში საქმიანობის უფლება, არამედ მათ მიმართ უდავოდ უნდა ამოქმედდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სამართლებრივი მექანიზმები, რამეთუ ამის გარეშე სამართალზე და სამართლიანობაზე ლაპარაკი მხოლოდ ცრუ ლოზუნგად დარჩება.

ლიტერატურა

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. 1999 წლის 22 ივლისი. №2287 რს. http://tcc.gov.ge/uploads/kanonebi/sisxlis_samartlis_kodeqsi.pdf
2. კურატაშვილი ალფრედ. სასამართლო ხელისუფლება და ადამიანის უფლებები: პრობლემები და გადაჭრის გზები. *სასამართლო პროცესის მონაწილეთა და მათ წარმომადგენლთა უფლებებთან დაბალანსებული პასუხისმგებლობის დანერგვა – დანაშაულებათა აღმოფხვრისა და სოციალური სამართლიანობის დამკვიდრების აუცილებელი საფუძველი*. სოციალური სამართლიანობის პრობლემა და სახელმწიფო მართვა. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები (20-21.12.2011). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2011, გვ. 3-32.
3. კურატაშვილი ალფრედ. მოსამართლის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშეშება და ადამიანის უფლებების შელახვა სისხლისსამართლებრივად დასჯადი დანაშაულია, მაგრამ...?! *სახელმწიფო ხელისუფლება ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს, რომ კონსტიტუციის თანახმად ყველა ადამიანი კანონის წინაშე თანასწორია!* სახელმწიფო მართვის აქტუალური პრობლემები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები (27-28.03.2013). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2013. გვ. 44-58.
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 1997 წლის 26 ივნისი. №786-III. http://tcc.gov.ge/uploads/kanonebi/samoqalaxo_kodeqsi.pdf
5. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი. 1999 წლის 23 ივლისი. №2352-რს. http://tcc.gov.ge/uploads/kanonmdebloba/saproceso_kodeqsi_administraciuli.pdf

შპს 1+32+33+34+35

ალფრედ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო)

ეკონომიკურ, ფილოსოფიურ და იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი საზოგადოებრივ მეცნიერებებში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი საჯარო სამართალში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ეკონომიკური თეორიის განყოფილების გამგე, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ “პროგრესი“-ს და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ “იურისპრუდენციის პრობლემები“-ს დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი, სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, პოლიტიკური მენეჯმენტის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი და იურიდიულ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აშშ პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სანკტ-პეტერბურგის კულტურის ისტორიის საზოგადოებრივი აკადემიის ნამდვილი წევრი, ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი

სისხლის სამართლის კოდექსის

332-მ და 333-მ მუხლების –

სამსახურებრივი უფლებამოსილების

ბოროტად გამოყენების და

სამსახურებრივი უფლებამოსილების

გადამეტების –

არსის გაბეზისა და იმპლემენტაციის

პრობლემები

და მათი გადაჭრის მიქანიზმები

სამართლიანობა და კანონის წინაშე

ყველა ადამიანის თანასწორობა მოითხოვს, რომ

კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებისათვის –

დანაშაულებრივი ქმედებისათვის – მოსამართლეს,

ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა თანამდებობის პირს,

უდავოდ ეკისრებოდეს

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

მოსამართლის მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება – ეს უდავოდ არის მისი მხრიდან სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება [1, მუხლი 332], და, *ამავე დროს*, ეს არის სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების გადამეტება [1, მუხლი 333].

ამასთანავე, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ “მსხვერპლის” მიმართ და “მსხვერპლისთვის”, ანუ დაზარალებული პირისათვის – *უფლებამოსილები* ადამიანისათვის – ეს დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც კანონის თანახმად ორ სხვადასხვა დანაშაულად “ითვლება”, *ჩემი ღრმა რწმენით*, ფაქტობრივად ერთი და იგივე – *ერთნაირი* – დანაშაულია.

ზემოაღნიშნული ლოგიკური დასკვნა გამომდინარეობს იქიდან, რომ ეს – ორ სხვადასხვა დანაშაულად “მინეული” დანაშაული, ფაქტობრივად წარმოადგენს ერთი და იგივე დანაშაულს, რადგან “ბოროტება” – სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება *ამავე დროს* არის სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების გადამეტება.

